საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 216 (495) ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

დაიწყო საპარლამენტო კონსულტაციები

20 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საქართველოს ახალ პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ლიდერებს. განიხილეს მომავალი პარლამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები. გამოითქვა მოსაზრება, რომ პარლამენტის პირველი სხდომა მომავალ კვირაში გაიმართოს.

ფოტორეპორტაჟი

მისია ცხინვალის რეგიონში

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფაქტის დამდგენი მისია რამდენიმე დღეს იყო საქართველოში. ამ მისიას ელჩი იშტვან ბიარმატი ხელმძღვანელობდა.

მისია შეხვდა და ესაუბრა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, ეროვნებათაშორისო ურთიერთობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ა. კავსაძეს, ესტუმრა ცხინვალის რეგიონს, იყო აფხაზეთში.

სურათებზე: მისიის წევრები ესაუბრებიან ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას; პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან, ბატონ ალექსანდრე კავსაძესთან საუბრის დროს; სამაჩაბლოში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის მეომრები; ამ სოფელში სულ ცოტა ხნის წინ ისმოდა სროლის ხმა...

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტის ვანო შამანაძის ფოტო.

თენგიზ სიგუა: ევროთათბირს დიდ როლს ვანიჭებთ

—ამ განსაცდელის ჟამს, როცა საქართველოს ახე სჭირდება თავისი ტერიტორიის მთლიანობის დაცვა, მსოფლიოს გაერთიანების მხარდაჭერა აუცილებელია. სულ ორიოდე დღის წინათ ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა გაეროს ფაქტების დამდგენი მისია გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ანტუან ბლანკის ხელმძღვანელობით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროთათბირის მისია. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თქვენს მისიას, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის ფაქტის დამდგენი მისიის წარმომადგენლებს.

მისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ევროთათბირის მინისტრების საბჭოს თავმჯდომარის იოზეფ მორავჩიკის პირადი წარმომადგენელი, უნგრელი ელჩი იშტვან ბიარმატი, უკვე იყო ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში. დელეგაციაში შედიან სამხედრო ექსპერტები და უცხოელი ჟურნალისტები.

— თქვენ თვითონ დარწმუნდით, რომ საქართველომ ზუსტად შეასრულა 3 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების ყველა პუნქტი, — განაგრძო ბატონმა თენგიზმა, — აფხაზებმა კი დაარღვიეს და ამას მოჰყვა უდანაშაულოთა სისხლისღვრა და მსხვერპლი. სამწუხაროდ, რუსეთის მონაწილეობას ამ კონფლიქტის მოწესრიგებაში არ მოაქვს სასურველი შედეგი და გამოვთქვამ რწმენას, რომ გაეროს და ევროთათბირის ჩარევა აუცილებლად შედეგიანი იქნება.

ბატონმა იშტვან ბიარმატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დელეგაციას აქვს მხოლოდ ერთი მიზანი — ობიექტურად შეაფასოს ვითარება და გამოინახოს პოლიტიკური მეთოდები კონფლიქტის ჩასაქრობად.

— აფხაზეთში, მართლაც, ურთულესი ვითარებაა, მაგრამ არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა, — განაგრძო საპატიო სტუმარმა. — მე მქონდა საუბარი ვლადისლავ არძინბასთან გუდაუთაში და იმედი მაქვს, რომ არძინბა და სხვა აფხაზი ხელმძღვანელები ყურად იღებენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის რეკომენდაციებს და რჩევას.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაზიარება როგორც ცხინვალის რეგიონში, ისევე აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე. დაისახა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით პრობლემათა გადაჭრის კონკრეტული ღონისძიებები, კერძოდ, ახალი სტრუქტურების შექმნის სახით, მეთვალყურეების გამოგზავნით საქართველოში და სხვა.

გალინა ჩიქოვანი.

ქართულად გამოიცა „ჩემი არჩევანი"

ახლახან გამომცემლობა „განათლებამ" გამოსცა თანამედროვეობის გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ედუარდ შევარდნაძის წიგნი — „ჩემი არჩევანი" („დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად").

ავტორი მოგვითხრობს თავისი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობას დიდ პოლიტიკაში — მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მის მუშაობას.

„ჩემი არჩევანი" უკვე გამოიცა 15 ქვეყანაში — გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში, იაპონიაში, რუსეთში და სხვ.

წიგნს ახლავს ავტორის წინასიტყვა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:



ამ წიგნის საქართველოში გამოცემის ინიციატორებმა მთხოვეს წინასიტყვაობა დამეწერა. არ გამომივიდა (ჯოჯოხეთური მოუცლელობის გამო). გადავწყვიტე რამდენიმე სიტყვით შემოვიფარგლო.

რასა თქმა უნდა, ამ ფრაზებს წინათქმის პრეტენზია არა აქვს.

ჩემმა კეთილმა მეგობარმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა თბილისში ყოფნისას მის მშობლიურ ქალაქ ჰალეში ჩვენი მოგზაურობა გაიხსენა. მე მას მართლაც მივმართე ხუმრობით და გულდაწყვეტილმა (რაზეც ვიყავი გულდაწყვეტილი, სხვა დროს გეტყვი), მეღირსება კი საქართველოში გიმასპინძლო-მეთქი? იმასაც ვიტყვი და გენშერიც დამიდასტურებს: როცა ჩვენ თანამედროვეობის ურთულეს პრობლემებს ვიხილავდით, დაუჯერებიათ მომენტები, როცა მე განსახილველი საკითხის ნაცვლად სხვა საგანზე გადამიტანია ფიქრი. მქონდა ასეთი „ფიქრიანი პაუზები" დიდი დიალოგის დროსაც კი და მე გენშერისთვის გამიმხელია, რომ ამ წამიერი „გამოთიშვის" მიზეზი ჩემი სამშობლოა-მეთქი.

განგებამ ასე ინება: პატარა ქვეყნის, მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელი იმ გიგანტური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ოლიმპზე აღმოჩნდა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. ამ უმაღლესი გადასახედიდან, მთელი პლანეტა რომ ხელისგულივით მოჩანდა, ჩემი თვალსაწიერი, ჩემი საქართველო თავისი თვალისმომჭრელი კაშკაშით შემახსენებდა თავს. იგი მიუბნებოდა: იყავ ფრთხილად, იმოღვაწე ღირსეულად, აკეთე სხვა ხალხებისთვის ის, რასაც შენი ქვეყნისათვის მოიმოქმედებდით. ღმერთმანი, ვცდილობდი ამ შეგონების ერთგული ვყოფილიყავი. როგორ შევძელი ეს, ნაწილობრივ ამ პატარა წიგნიდანაც ჩანს. უფრო მეტი სათქმელი და დასაწერი მომავლის საქმეა.

ჩემო მკითხველო, მე არაერთხელ მითქვამს, რომ სამშობლოში მე დავბრუნდი მთელი ჩემი განვლილი გზით, დამსახურებებითა და შეცდომებით, მთელი ჩემი ტვირთითა და პოლიტიკური კაპიტალით. ყველაფერი, რაც გამაჩნია, რასაც შევქმნი და რასაც დავწერ, საქართველოს კუთვნილებაა. დავბრუნდი იმისათვის, რომ ალარასოდეს დავტოვო ჩემი ქვეყანა, მოვახმარო მას დარჩენილი ძალები, ცოდნა, გამოცდილება, სახელი და დიდება, აღიარება ჩემი (თუ კი ასეთი ფენომენი არსებობს მსოფლიოში).

ჩემო მკითხველო, ჩემო ქვეყანავ, ძნელბედობის ჟამი დაგვიდგა. რომ გადავრჩეთ, ბეწვის ხიდზე უნდა ვიაროთ. ეს შესაძლებელია. ახლა მთავარია არ შევდრკეთ, სასოწარკვეთას არ მივეცეთ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ერთმანეთი დავინდოთ.

საქართველო ღვთისწყალობის ქვეყანაა, მას გადაშენება არ უწერია. მე ღრმად მწამს, რომ ჩვენ ვივლით ჰუმანიზმის, დემოკრატიის გზით და ავაშენებთ ახალ, თავისუფალ, დამოუკიდებელ და ბედნიერ სახელმწიფოს.

ედუარდ შევარდნაძე.

20. 09. 92 წელი
თბილისი

სიტყვით, საქმით, შემოქმედებით

სამშობლოს მსახურებაში

ულოცავენ

გიგა ლორთქიფანიძე 65 წლისაა. გონიერებისა და სიდარბაისლის ყვავილობის ასაკია. საზოგადოდ, ღვთისნიერი ადამიანისთვის ყოველი ასაკი კარგია. გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლებისა და ფილმებისგან მრავალმილიონ მაყურებელს ცრემლიც სდენია და გულითადც უცინია, მილიონობით ტაში და მადლიერებაც მიუღია ცნობილ რეჟისორს. საბჭოთა დიქტატურის პირობებში შექმნილი ნაწარმოებები, რომლებსაც დღეს არ დაუკარგავს თავისი სულიერი და ესთეტიკური ღირებულება, ზნეობრივი გმირობის შედეგიცაა. იმ კონიუნქტურისა და კომპრომისების ხანაში, საბჭოთა სინამდვილის პირობებში მოქმედმა ყოველმა ხელოვანმა რომ განიცადა, ყოველი თაფისთავად ღირებული მხატვრული ნაწარმოები არსით იყო ოპოზიციური, ანტიიდეოლოგიური. ამიტომ, ამ სინამდვილესთან ნატანჯი ხელოვანნი, რომლებმაც ზიდეს მძიმე ტვირთი, განსაკუთრებული სიყვარულისა და დაფასების ღირსია.

ბატონი გიგა ხშირად გვინახავს მუშტშემართული იმ იმპერიული მარწუხის წინააღმდეგ, რომელიც ხუთავდა თავისუფლებისა და შემოქმედების სულს. ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია" ეპოქალური მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ ჭაბუა ამირეჯიბისა და გიგა ლორთქიფანიძის ფილმი „დათა თუთაშხია" დამოუკიდებელი მნიშვნელობის ნაწარმოებიცაა, ჯერ უნიკალური მოვლენა ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში. გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებითი და პიროვნული სიახლოვე ნოდარ დუმბაძესთან მშვენიერი სპექტაკლების შექმნით დაგვირგვინდა. გიგა ლორთქიფანიძე მრავალფეროვანი მხატვრული უნარით შემკული რეჟისორია. თავისი იუმორით, სიმღერით, ქვეყნის ტკივილების წუხილით გიგა ლორთქიფანიძისთვის სცენასა და ცხოვრებას შორის მანძილი არ არსებობს, იგი ცხოვრების შორიდან მაყურებელი კი არა, უშუალოდ განმცდელია. ვერ დარჩება ასეთი ადამიანი თავისთვის, მხოლოდ თავისი პროფესიისთვის. ბატონი გიგა, მუდამ დაუშრომელი საზოგადო მოღვაწე, ყოველთვის მოვლენების შუაგულშია. საქართველოსთვის ურთულეს და გადამწყვეტ პერიოდში იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მუშაობაში. დარწმუნებული ვართ, იგი აქტიურად ილვაწებს საქართველოს პარლამენტშიც, რომლის ღირსეულ წევრადაც აირჩიეს. დღეს პოლიტიკისგან შორს არავინაა. ცხოვრება გახდა მეტისმეტად პოლიტიზირებული. საქართველოს პარლამენტის და მისი თავმჯდომარის არჩევნების ასეთი აქტიურობით, დიდი იმედის ნიშნით ჩატარება იმას გვეუბნება, რომ ჩვენი ხალხი არსებითად, შინაგანად, პოლიტიკურად და მსოფლმხედველობრივად გაერთიანდა. ეს დიდი ნდობა არის ნდობა იმედისადმი. ბატონი გიგას აქტიურობა ამ იმედის ერთ-ერთი გარანტიაა. ისე კი, სად ნახავთ ასეთი კონტრასტებით აღსავსე სინამდვილეს, რომლებიც ამ ბოლო 4-5 წელიწადში გადავხედა. რამდენი ტრაგედია, რამდენი კომედია შეიძლება მან ასაზრდოოს, ქართულ ხელოვნებას სიუჟეტებისა და თემების ძიება შორს არ სჭირდება. ღმერთმა შეაძლებინოს ბატონ გიგას მათი ხორცშესხმა. დღეგრძელად ბრძანდებოდეს ბატონი გიგა საქართველოს საკეთილდღეოდ.

მეგობრები სახელმწიფო საბჭოდან.

ნუხელ შევიტყვეთ

აფხაზეთიდან გვაცნობეს

19 ოქტომბერს გვიან საღამოს სოხუმში ერთგვარი აჟიოტაჟი და შეშფოთება გამოიწვია დელტაპლანების გამოჩენამ ქალაქში. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სოხუმის მესამე ბრიგადის შტაბიდან გვაცნობეს, რომ საღამოს 21 საათისთვის სოხუმის ირგვლივ ცაზე შენიშნეს უცნობი დელტაპლანები. ერთ-ერთმა მათგანმა გადაუფრინა აღნიშნული ბრიგადის შტაბს, იმავე საღამოს დელტაპლანი შენიშნეს აგრეთვე სოხუმის აეროპორტის ტერიტორიაზე.

ქართველმა მეომრებმა ცეცხლი დაუშინეს დელტაპლანებს და იძულებული გახადეს დაეტოვებინათ ქალაქის ტერიტორია.

იმავე საღამოს აღნიშნული ბრიგადის შტაბის მონაცემებით, სოხუმს მოუახლოვდა რამდენიმე პატარა გემი, რომლებიც იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ მას შემდეგ, რაც ქართველმა მხარემ გამაფრთხილებელი ცეცხლი გახსნა ჰაერში სროლით.

19 ოქტომბერს საღამოს ქართველთა მხარემ მორიგი ოპერაცია ჩაატარა მოწინააღმდეგე შეიარაღებული ძალების ასალაგმად სოხუმის რაიონის სოფელ ცუბურივკალესთან და ზემო ეშერასთან.

ზემოაღნიშნული ბრიგადის შტაბის ცნობით, აფხაზებისა და ჩეჩნების შეიარაღებულ ჯგუფებს ქართველმა მხარემ დიდი ზარალი მიაყენა.

იოსებ გოგეჩია.

●

19 ოქტომბერს ოჩამჩირეში მიმავალ „მხედრიონის" შენაერთს, რომელშიც ძირითად შემადგენლობასთან ერთად საგარეჯოს ნაწილიც შედიოდა, სოფელ ტამიშთან გზა გადაუღობა და თავს დაესხა მოწინააღმდეგე. დანაღმული გზის მეორე მხარეს მტერს უტევდა ახალციხის ბატალიონი, რომელიც უკვე მერამდენე დღეა აკონტროლებს სოფელ ტამიშის მიდამოებს. ერთობლივი ძალებით შენაერთებმა მტერი უკუაქციეს და გზა გაათავისუფლეს. ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ არის.

ია კალანდარიშვილი.

●

მკურნალობენ დაშავებულ მეომრებს

რესპუბლიკურ ოფთალმოლოგიურ ცენტრში მკურნალობენ ეროვნული გვარდიის, მხედრიონის და სხვა სამხედრო შენაერთების წევრები. ვიზების სამმართველომ შეფობა იკისრა მძიმედ დაშავებულ მეომრებზე, დაეხმარა ცენტრს მათთვის ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენაში, კვების რაციონის გაუმჯობესებაში, თითოეულ მეომარს კი 10 ათასი მანეთი გადასცა საჩუქრად.

ეს რედაქციას აცნობა ოფთალმოლოგიური ცენტრის დირექტორმა პროფესორმა ი. ზერიძემ.

ეროვნული თავდაცვის ფონდში

აჭარის თავისუფალი პროფკავშირების ორგანიზაციებმა ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 200 ათასი მანეთი.

მიხეილ გორგილაძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ნომერში

⊙ საგადასახადო ინსპექცია: დღევანდელობა და პერსპექტივა. 2
⊙ გავერანებული საქართველო დავუტოვოთ შთამომავლობას? 3

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

1992 წლის 20 ოქტომბერი № 291 ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ახალწვეულთა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 8 ივლისის „1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის შესახებ" დადგენილების საფუძველზე წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების გამგეობებმა და სამხედრო განყოფილებებმა 1992 წლის ოქტომბერ-დეკემბერში განახორციელონ წვევამდელთა გაწვევა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

2. გაწვეულ იქნან საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად 18-დან 25 წლამდე მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების უფლება.

აღნიშნული კატეგორიის წვევამდელები დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდნენ ქალაქებისა და რაიონების სამხედრო განყოფილებებში.

3. შეიარაღებული ძალების სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებმა, აგრეთვე შესაბამისმა სამმართველოებმა მოამზადონ სამხედრო ნაწილები და სასწავლო ცენტრები წვევამდელთა მისაღებად და მათთან საბრძოლო მომზადების ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

4. წვევამდელთა მომზადებისა და გაწვევისათვის რაიონებისა და ქალაქების სამხედრო განყოფილებებმა იხელმძღვანელონ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით და ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველოს ბრძანებით „წვევამდელთა გაწვევის შესახებ".

5. წვევამდელთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისათვის ადგილობრივმა გამგეობებმა და სამხედრო განყოფილებების უფროსებმა იმოქმედონ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის „საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა" კოდექსის საფუძველზე.

6. ბრძანება გაეცნოს შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის—პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე — თავდაცვის მინისტრი

თ. კიტოვანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

ბუნებრივი გაზის ფასების მოწესრიგებისთვის

რესპუბლიკისთვის მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის მნიშვნელოვან გაზრდასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა და 1992 წლის 1 ოქტომბრიდან სამოქმედოდ იქნება შემოღებული:

— საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზის" მიერ სახელმწიფო კონცერნ „საქგაზისათვის" მისაწოდებელი ყოველი 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის საბითუმო ფასი — 4808 მანეთი (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით);

— ბუნებრივი გაზის გასაცემი ფასი ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის (კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით) კონცერნ „საქგაზის" მეურნეობათა მიერ ერთი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის გასაცემი ფასი იქნება მოსახლეობისათვის 1 მანეთი, დანარჩენი მომხმარებლისათვის (მათ შორის მოსახლეობის პირად მფლობელობაში არსებული სათბურებისათვის) — 9 მანეთი და 80 კაპიკი. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ დაევალა განსაზღვროს მოსახლეობის მიერ ბუნებრივი გაზით სარგებლობისათვის გადასახადები და გამოსცეს შესაბამისი პრეისკურანტი.

ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 1 ივლისის დადგენილებით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის საბითუმო და გასაცემი ფასები.

შეხვედრა ამერიკის საელჩოში

16 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს რეზიდენციაში გაიმართა შეხვედრა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის გამგეობის წევრებსა და ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს კენტ ბრაუნს შორის. შეხვედრაში მონაწილეობდა ელჩის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში ქალბატონი ქენდი გრინი. შეხვედრა მიმდინარეობდა საქმიან ვითარებაში. მხარეები შეეხნენ საქართველოში შექმნილ რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, აფხაზეთში არსებულ დაძაბულ სიტუაციას.

ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა ელჩს გააცნო ასოციაციის მიზნები და აღნიშნა, რომ ასოციაციის პრიორიტეტად ითვლება დემოკრატიის მთავარი ატრიბუტი — ადამიანის უფლებების უცილობელი დაცვა.

შეხვედრაზე აღინიშნა თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის მიზანშეწონილება. ბატონმა კენტ ბრაუნმა გამოთქვა იმედი, რომ გაგრძელდება შეხვედრები აშშ საელჩოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციას შორის.

აფეთქდა გაზსადენის მილი

ესლა გვაცნობა. 19 ოქტომბერს შუაღამისას, დაახლოებით ოთხ საათზე მოზდოკსა და ვლადიკავკაზს შორის, მდინარე კანდალიოვსკაიაზე 1400-მილიმეტრიანი გაზსადენის მილი აფეთქდა, გაჩნდა ხანძარი (აფეთქების მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია). ამჟამად ცეცხლი ჩამქრალია და სანამ ეს მილი შეკეთდება, ჩვენს რესპუბლიკაში გაზი 700-მილიმეტრიანი გაზსადენის მილით შემოვა.

— გუშინ დილის ექვსი საათიდან სამსახურში გავჩნდით, — გვითხრა კონცერნ „საქგაზის" თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამაზ გაგუამ, — ყველაფერი ვიღონეთ იმისთვის, რომ ქალაქის მოსახლეობას უგაზობა არ ეგრძნო. ჯერჯერობით გაზი შეუფერხებლად მიეწოდება როგორც მოსახლეობას, ასევე კვებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, საავადმყოფოებს. ერთ კვირაში, მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე, ამუშავდება ფაბრიკა-ქარხნები, გაზი მიეწოდება ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

ლალი ჩხეიძე.

ულოცავენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს,

მოგილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას.

გერმანიაში საქართველოს სავაჭრო და კულტურული ცენტრის „ქართული სახლის" წევრები და თანამშრომლები მიესალმებიან არჩევნების შედეგებს და თვლიან მათ მნიშვნელოვან ნაბიჯად ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის განვითარების საქმეში.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენი არჩევით საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ თქვენს ქვეყანაში დამყარდება პოლიტიკური სტაბილურობა და იგი დაადგება აღორძინების გზას.

ჩვენ, როგორც „ქართული სახლის" წარმომადგენლები, ყველა საშუალებით და ძალებით მხარს დაგიჭერთ თქვენ და თქვენს მთავრობას ამ გზაზე.

ღრმა პატივისცემით,

ოლესია ლებე.

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

გულითადად გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე არჩევას.

გისურვებთ დიდ წარმატებებს ამ საპატიო პოსტზე მოღვაწეობაში დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და აყვავების საკეთილდღეოდ.

გამოვთქვამ რწმენას, რომ ახლანდელი სიძნელეების მიუხედავად, მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ფესვგადგმული რუსეთისა და საქართველოს ხალხთა მეგობრობის, პატივისცემისა და თანამშრომლობის ტრადიციული ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ყველა დარგში.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

ა. კოზირევი.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი.

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

გულწრფელად გილოცავთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე არჩევას.

არჩევნების შედეგებმა დაადასტურა, თუ რა დიდი ავტორიტეტი გაქვთ ქართველი ხალხის ფართო ფენებს შორის, რომელმაც თავისათვის ამ მძიმე ჟამს დაადასტურა მისწრაფება დემოკრატიისა და თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისაკენ.

უაღრესად გულწრფელად გისურვებთ თქვენ ჯანმრთელობასა და წარმატებებს, მოძმე საქართველოს ხალხს — მშვიდობასა და კეთილდღეობას.

ნურსულთან ნაზარბაევი.

დიდად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

გულითადად გილოცავთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე არჩევას. გულწრფელად გვჯერა, რომ თქვენი პოლიტიკური გამოცდილება და ხელმძღვანელის ალღო ხელს შეუწყობს მშვიდობის დამყარებას მრავალტანჯულ ქართულ მიწა-წყალზე. სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

მწერალთა კავშირების თანამეგობრობის სახელით

არტემ ანფინოგენოვი, ბელა ახმადულინა, ვასილ ბიკოვი, ანდრია ვოზნესენსკი, მიხეილ დუდინი, იური კარიაკინი, ანდრია ნუიკინი, ალბერტ ოგანიანი, ბულატ ოკუჯავა, ვალენტინ ოსკოცკი, ვლადიმერ საველიევი, იური ჩერნიჩენკო.

ბატონო შევარდნაძე,

თქვენს არჩევასთან დაკავშირებით, მსურს გადმოგცეთ ჩემი გულწრფელი მილოცვა და ვუსურვოთ მეგობარ ქართველ ხალხს წინსვლა, აყვავება და სიკეთე. ასევე გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ამ პოსტზე ყოფნის პერიოდში ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა უფრო განმტკიცდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ და მთლიანად ჩვენს რეგიონში ვითარების გასაუმჯობესებლად. და ბოლოს, მწამს, რომ საქართველოს ბერძნული მოსახლეობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხიდი იქნება.

კონსტანტინ მიცოტაკისი.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი.

ბატონო ედუარდ შევარდნაძე,

გულითადად გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას. მწამს, რომ თქვენი დიდი გამარჯვება და საერთაშორისო ავტორიტეტი საქართველოს ნანატრ სიმშვიდეს, ერთობას, აყვავებას და ბედნიერებას მოუტანს.

პატივისცემით

ხაიმ ხუბულაშვილი.

საქართველოდან გამოსულთა საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე.

დიდად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ თქვენი არჩევის გამო. საქართველოს ხალხთა არჩევანი მოწმობს მათს სიბრძნეს, რადგან ლიდერად აირჩიეს გამოცდილი და შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე, მოწმობს, რომ აფასებენ თქვენს პოლიტიკას საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში. იმედი გვაქვს, რომ თქვენ მიერ არჩეული კურსი მშვიდობასა და აყვავებას მოიტანს საქართველოს მიწაზე, კიდევ უფრო შეადუღაბებს ჩვენს ხალხებს.

საუკეთესო სურვილებითა და გულწრფელი პატივისცემით სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

ხ. არუთინიანი.

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარე,

დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მოგილოცოთ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა.

ნება მიბოძეთ იმედი გამოვთქვა, რომ ამ მაღალ თანამდებობაზე თქვენი არჩევა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობრულ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს საპასუხისმგებლო საქმიანობაში, რომლის მიზანია საქართველოში დემოკრატიული ცვლილებების დამკვიდრება.

მსურს დაგარწმუნოთ ლატვიელი ხალხის მხარდაჭერასა და სოლიდარობაში და პირადად თქვენ და ქართველ ხალხს გისურვოთ კეთილდღეობა და ჯანმრთელობა.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს

ანატოლი გორბუნოვი.

ლატვიის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს სახელით გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას. გამოვთქვამთ გულწრფელ იმედს, რომ თქვენი მეთაურობით პარლამენტის არჩევა ხელს შეუწყობს საქართველოს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე წამოჭრილი ძნელი პრობლემების გადაჭრას.

ოს ხალხს უფლება აქვს იქონიოს იმედი, რომ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა ეფექტიან ნაბიჯებს გადადგამს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების გზაზე. ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა მზად არის ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში.

ა. ხ. გალაზოვი.

ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

ს. ვ. ხეთაგუროვი.

ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

გულითადად გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ხალხის ნების თავისუფლად გამოხატვის შედეგად მიღებული მანდატი, რაც უდავოდ მოწმობს თქვენდამი ხალხის დიდ ნდობას, მასტაბილიზებელი ფაქტორი იქნება მეგობარ საქართველოში, იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ურთიერთობაში ჩადებული თანამშრომლობის პოტენციალის რეალიზაციის საქმეს. სომხეთ-საქართველოს ტრადიციულად კეთილი ურთიერთობა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ჩვენი ორი რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პირობებში უდავოდ მიიღებს ახალ იმპულსს, რათა იგი თვისებრივად ახალ დონეზე ავიდეს.

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს ამ პასუხსაგებ პოსტზე.

ბ. არარქციანი.

სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

დიდად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

ავღანეთის ვეტერანთა კავშირმა კმაყოფილებით აღიქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები. სულითა და გულით გილოცავთ საპატიო პოსტზე არჩევას. გისურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობას დამოუკიდებელი საქართველოს აყვავებისთვის და იმედი გვაქვს, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება კეთილი ურთიერთობა ავღანეთის ვეტერანთა კავშირთან.

პატივისცემით,

ა. ა. კოტენევი.

ავღანეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე.

წერილი იტალიიდან

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ,

დიდ ბოდიშს იხდის იტალიის ტელევიზიის („რაი უნო") საინფორმაციო სამსახური, რომ 19 ოქტომბერს, იტალიის რადიო-ტელევიზიის გაფიცვის გამო, ვერ მოხერხდა თქვენთან ინტერვიუ.

დოქტორი პუჩიკორონა, ტელეჟურნალის განყოფილების ერთ-ერთი უფროსი, ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის და გთხოვთ, თუ საშუალება გაქვთ, იტალიელ ტელემაყურებელთათვის ეს მეტად საინტერესო შეხვედრა გადაიდოს ხუთშაბათისთვის, 22 ოქტომბრისათვის, თბილისის დროით 12.30 საათზე. სიამოვნებით მინდა გაცნობოთ, რომ 18 ოქტომბერს, რომის პაპმა, მისი კურთხევის 14 წლისთავის დღეს, წმინდა პეტრეს მოედანზე ილოცა თვითონ და მიმართა მთელ მსოფლიოს, ილოცათ საქართველოსთვის.

ბატონო ედუარდ, იტალიას და ვატიკანს იმედი აქვთ, რომ კვლავ იწვევით რომში, რაც უთუოდ დიდი იმპულსი იქნება საქართველოს დღევანდელი სიტუაციის საერთაშორისო პრობლემად გადაქცევისა და შესაძლო თანამშრომლობისა და დახმარების მისაღებად.

პატივისცემით

ქეთევან ბაგრატიონი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განცხადება

მიუხედავად მრავალგზისი გაფრთხილებისა, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გამგეობები, საკრებულოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები კვლავ აგროვებენ რეზერვისტებსა და მოხალისეებს და გზავნიან აფხაზეთის რეგიონში თავდაცვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

— ისევ გრძელდება ცალკეულ არასამხედრო ფორმირებათა შექმნა და სრულიად მოუმზადებლად საბრძოლველად გაგზავნა. უფრო მეტიც, ბევრს არ გაუვლია სავალდებულო სამხედრო სამსახური და სასწავლო დაწესებულებებში სწავლობს. ბევრი ახალგაზრდა იღუპება იმის გამო, რომ არ იციან სამხედრო საქმე და ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება.

ყოველივე ეს დიდ სიძნელეებს უქმნის აფხაზეთში სამხედრო დისციპლინის დამყარებას და საბრძოლო მოქმედების ერთმართველობას.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო კიდევ ერთხელ მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების გამგეობათა თავმჯდომარეებს, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე სხვადასხვა არასამხედრო ფორმირების ხელმძღვანელებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მოხალისეთა ჯგუფების გაგზავნა აფხაზეთის რეგიონში სათანადო სამხედრო მომზადებისა და თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე. საბრძოლველად უნდა გაიგზავნონ მხოლოდ წვრთნაგამოვლილი ახალგაზრდა მამაკაცები.

აფხაზეთში ჩასული ყველა ნებადართული ოფიციალური ჯგუფის ხელმძღვანელები ჩასვლისთანავე უნდა გამოცხადდნენ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ მთავარ შტაბში აღრიცხვაზე ასაყვანად და საბრძოლო ამოცანების მისაღებად.

სამოქალაქო ავიაციის, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის ხელმძღვანელობას ვთხოვთ მკაცრი კონტროლი დაწესონ ბრძოლის ადგილებში შეიარაღებული ჯგუფების სხვადასხვა სახის ტრანსპორტით გამგზავრებას, თუ არ ექნათ სათანადო ნებართვა და საბუთები.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ მიიღოს სათანადო ზომები, რომ ცალკეული შეიარაღებული ჯგუფები თავდაცვის სამინისტროს ნებართვის გარეშე არ გაიგზავნონ აფხაზეთში.

აქტუალური ინტერვიუ

საგადასახადო ინსპექცია: დღევანდელობა და პერსპექტივა

საბაზრო ურთიერთობის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო სამსახურის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხებს. წლეულს, როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში შეიქმნა კიდეც დამოუკიდებელი სამსახური — სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია. რა გაკეთდა მას შემდეგ განვლილ პერიოდში, როგორია პირველი შედეგები და რა პრობლემები დგას ამჟამად ინსპექციის წინაშე? — ძირითადად ამ საკითხებზე სთხოვა „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტმა ინტერვიუ რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროს თეიმურაზ დვალს.

— ბატონო თეიმურაზ, სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შექმნიდან სულ ექვსი თვე გავიდა. ეს არცთუ ისე ბევრია, მაგრამ ამ დროის მანძილზე გაწეული მუშაობაც, ალბათ, გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

— რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში შეიქმნა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია, ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურები, ნაწილობრივ გადახალისდა კადრები, შემუშავდა ინსტრუქციები და მეთოდიკური მითითებები გადასახადების შესახებ და, რაც მთავარია, დავიწყეთ ინტენსიური მუშაობა საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის კონტროლის გაძლიერებისთვის. შემოწმდა ოთხი ათასზე მეტი საწარმო. სიტუაცია, უნდა ითქვას, საგანგაშოა: მათ 60 პროცენტში სერიოზული დარღვევები გამოვლინდა. უწინარესად, ეს არის სახელმწიფოსთვის დამალული შემოსავლები, რომლებმაც 840 მილიონი მანეთი შეადგინა. ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა.

— საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის, ალბათ, სათანადო სანქციების გამოყენებაც მოგიწევდათ.

— ცხადია. შემოსავლისა და დაბეგვრის სხვა ობიექტის დამალვისთვის ორი ათასზე მეტ საწარმოს დაეკისრა 150 მილიონამდე მანეთის ფინანსური სანქცია. გარდა ამისა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 2300 თანამდებობის პირს, რომელთაც ჯარიმის სახით 378 ათასი მანეთი უნდა გადაიხადონ. ბიუჯეტში გადასახდელის შეტანისგან თავის არიდების, საგადასახადო ორგანოებში ბუღალტრული ანგარიშგების წარუდგენლობის ან დიდი დაგვიანებით წარდგენის გამო იძულებული გავხდით 5 ათასამდე საწარმოსთვის, ბანკის ანგარიშზე ოპერაციები შეგვეჩერებინა.

— ამ და სხვა ღონისძიებებმა, საგადასახადო ინსპექციების მხრივ კონტროლის გაძლიერებამ როგორ იმოქმედა ბიუჯეტის შემოსავლის ზრდაზე?

— დადებითი შედეგები უთუოდ არის. თუ წლევანდელ პირველ კვარტალში საერთო შემოსავალი 983 მილიონი მანეთი იყო, მეორე კვარტალში იგი 2,4 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა, მესამეში კი 5 მილიარდ 134 მილიონ მანეთამდე, რის შედეგადაც 9 თვის შემოსავალმა 8.519 მილიონი მანეთი შეადგინა, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად ეს საგადასახადო ინსპექციების მუშაობის გააქტიურებითაც უნდა აიხსნას, თუმცა უნდა ითქვას, რომ რეზერვი კიდევ ბევრია. როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საწარმოებში დიდია ე. წ. „დამალული" შემოსავალი, რომლის გამოვლენისა და ბიუჯეტში ჩარიცხვისთვის მიზანსწრაფული მუშაობა მიმდინარეობს.

— ძირითადად რა ხასიათის დარღვევებია გამოვლენილი და, თქვენი აზრით, რა იწვევს მათ?

— დარღვევებს უწინარესად ცალკეული მეწარმის მიერ კანონმდებლობის უგულებელყოფა და შემოსავლის დამალვის გამიზნული მცდელობა იწვევს. ჩატარებული შემოწმებებით დადგენილია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისთვის გაწეული დანახარჯების ხელოვნურად გადიდების, შემოსავლის ხელოვნურად შემცირების და მოგების დამალვის მრავალი ფაქტი. ამ ფაქტების დადგენით და ფინანსური სანქციებით სახელმწიფო ბიუჯეტი დამატებით 160 მილიონ მანეთს მიიღებს.

ჩატარებული შემოწმებებით დადგენილია, რომ საწარმოების დიდი ნაწილი შემცირებული ოდენობით რიცხავდა ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადს. საგადასახადო ორგანოებმა ამ გზით ბიუჯეტისთვის დაკლებული 223 მილიონი მანეთი გამოავლინეს.

დადგენილია დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის არასწორად გამოყენების ფაქტებიც. ზოგჯერ სამრეწველო საწარმოები ნედლეულისა და მასალების შესაძენად გაღებულ დამატებითი ღირებულების გადასახადს პროდუქციის თვითღირებულებას ამატებდნენ, რითაც უკანონოდ იზრდებოდა ხარჯები და პროდუქციის ფასი ამ გადასახადის მცდარი გამოყენებით. ასევე უკანონოდ ჰქონდათ გაზრდილი პროდუქციის ფასი. რიგ სავაჭრო ორგანიზაციებსაც. ასე მაგალითად, რესპუბლიკის სააფთიაქო ბაზისა და აფთიაქების მიერ მედიკამენტებზე დამატებული ღირებულების გადასახადის უკანონო დარიცხვით ხელოვნურად იზრდებოდა გასაცემი წამლის ფასი. მათ დაეკისრათ უკანონოდ მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ჩარიცხვა. საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ღვინის ქარხნებმა ცალკეულ შემთხვევაში პროდუქცია რეკომენდებულზე გაცილებით დაბალ ფასებში გაყიდეს. და ეს მაშინ, როდესაც არსებობს ამ პროდუქციის მაღალ ფასებში რეალიზაციის რეალური შესაძლებლობა. ცალკეულ შემთხვევაში კი პროდუქცია რეკომენდებულზე გაცილებით მაღალ ფასებშია გაყიდული, ხოლო გადასახადები რეკომენდებული ფასების გათვალისწინებითაა გადახდილი. ამის გამო ოზურგეთის რაიონის ჩაის ფაბრიკებს ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით 2,1 მილიონი მანეთი დაერიცხა.

არცთუ იშვიათად დარღვევები საგადასახადო კანონმდებლობის უცოდინრობითა და აღრიცხვა-ანგარიშგების მოუწესრიგებლობით არის გამოწვეული. ბუღალტრული აღრიცხვის მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა არასახელმწიფო საწარმოებში.

ალბათ საჭირო იქნება ფინანსური და ადმინისტრაციული სანქციების გამკაცრება საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ჩაშლისა და შემოსავლის დამალვისთვის.

— ალბათ, საფირმო გადასახადის შემოღებაც შემოსავლის დამალვამ განაპირობა. როგორ იმოქმედებს იგი ბიუჯეტის შემოსავალზე?

— მართალი ბრძანდებით. საფირმო გადასახადის შემოღება არასახელმწიფო-სავაჭრო საწარმოებში აღრიცხვა-ანგარიშგების მოუწესრიგებლობამ და ამის გამო რეალური შემოსავლის დადგენის საქმეში არსებულმა სიძნელეებმა განაპირობა. სიძნელეები კი ის არის, რომ კომერციული მაღაზიების სპეციფიკის გამო მათი შემოსავლების დასადგენად საჭიროა სისტემატური კონტროლი, რაც ჩვენს პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. სწორედ ამის შედეგია, რომ ბიუჯეტში კომერციული მაღაზიების შენატანები წელიწადში საშუალოდ 3 ათას მანეთს შეადგენდა. საფირმო გადასახადის შემოღებით ეს თანხა 4-5-ჯერ გაიზრდება. გარდა ამისა, ერთჯერადი გადასახადის შემოღება გამორიცხავს მრავალი უწყების მიერ შემოწმებათა ჩატარების აუცილებლობას და მასთან დაკავშირებულ ნეგატიურ მოვლენებს.

— რა წესით გადაიხდიან ისინი ამ გადასახადს?

— გადასახადის წლიური თანხა დაწესებულია სავაჭრო ობიექტის ფართობის მიხედვით. არასახელმწიფო სავაჭრო საწარმოები (მაღაზიები) საფირმო გადასახადის თანხების გამოანგარიშებისთვის ვალდებულნი არიან თავიანთი ადგილმდებარეობის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ მონაცემები სავაჭრო ობიექტის საერთო ფართის შესახებ. თუ სავაჭრო საწარმოს რამდენიმე სავაჭრო ობიექტი (ჯიხური, პავილიონი და ა. შ.) აქვს, ეს მონაცემები ყველა ობიექტის მიხედვით ცალ-ცალკე წარედგინება. ამასთან სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციები სავაჭრო საწარმოებს მისცემენ ცნობას სავაჭრო ობიექტის მიერ საფირმო გადასახადის ბიუჯეტში ჩარიცხვის შესახებ.

ყურადსაღებია ისიც, რომ ასოციაციების, ფირმების, მრავალდარგოვანი საწარმოების მიერ მათ ბალანსზე არსებული მაღაზიების მიხედვით გადახდილი საფირმო გადასახადის თანხები ჩაითვლება ამ ასოციაციების, ფირმებისა და საწარმოების მოგებიდან გადასახადის გადასახდელ თანხებში.

— როგორც ცნობილია, მთავრობის მოწვევით თქვენთან იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია. საინტერესოა ამ მისიის რეკომენდაციები საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის თაობაზე.

— საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია დეტალურად გაეცნო რესპუბლიკაში არსებულ საგადასახადო კანონმდებლობას და ძირითადად მოიწონა იგი. ამასთან ერთად გვირჩიეს, რომ უმჯობესი იქნებოდა საგადასახადო სისტემა თანაბარზომიერად ტვირთავდეს გადამხდელებს. იგი უნდა შეესაბამებოდეს საზღვარგარეთ არსებულ სისტემას, რათა ხელი შეუწყოს უცხოური კაპიტალის მოზიდვას. მისიამ არ მიიჩნია საჭიროდ ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათები და ზედმეტად გულუხვი „საგადასახადო დღესასწაულების" არსებობა. მას მიაჩნია, რომ საგადასახადო სისტემა სოციალური მიზნების მიღწევის საუკეთესო საშუალება არ არის. მისი აზრით, ბევრად უკეთესია, რომ ეს ღონისძიებები ბიუჯეტიდან დაფინანსდეს.

მისია გვირჩევს დამატებული ღირებულების გადასახადით დაიბეგროს იმპორტული საქონელი, საექსპორტო ნაწარმი კი ამისგან გათავისუფლდეს.

მოგების გადასახადის სრულყოფის მიზნით მისიას მიზანშეწონილად არ მიაჩნია სხვადასხვა განაკვეთებისა და მრავალი შეღავათის არსებობა. ამასთან იგი რეკომენდაციას იძლევა წინა წელს მიღებული ზარალი მომავალ წელს მიღებული მოგების ხარჯზე დაიფაროს.

მნიშვნელოვანია მისიის რეკომენდაციები ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის ნაწილში, რასაც სავსებით ვეთანხმებით. მისიის რეკომენდაციით სასურველია შემოღებულ იქნეს საშემოსავლო გადასახადი ფიზიკურ პირთა მიერ ყველა წყაროდან მიღებულ მთლიან წლიურ შემოსავალზე ერთი საგადასახადო განაკვეთის პირობით.

გარდა ამისა, სავალუტო ფონდის მისიამ მოგვცა აქციზების განაკვეთების გადიდების რეკომენდაციები.

ყველა ამ რეკომენდაციას, ალბათ, გავითვალისწინებთ საგადასახადო კანონმდებლობის დამუშავებისას.

— სავალუტო ფონდის მისიამ საგადასახადო ინსპექციის ადმინისტრაციის მუშაობის სტილის გაუმჯობესების თვალსაზრისით მოგცათ თუ არა რაიმე რეკომენდაციები?

— მისიამ მიიჩნია, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო საგადასახადო სამსახური, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება მთავრობას და საგადასახადო ოპერაციების ჩატარებისთვის არის პასუხისმგებელი, ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და საქართველოსაც უნდა გამოადგეს. იგი თვლის, რომ დამოუკიდებელი სამსახურის არსებობა ნათელს გახდის საგადასახადო ადმინისტრაციის ფუნქციას, უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას და შეამცირებს სხვა ცვლილებების აუცილებლობას.

მისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საგადასახადო ინსპექციის ცენტრალური აპარატის სტრუქტურის გაფართოება, სისტემაში კომპიუტერიზაციის დანერგვა და საგადასახადო სისტემის სხვა მხრივ გაძლიერება. ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს მათგან სათანადო დახმარების მიღების შესაძლებლობებიც.

კრიზისი: დასასრულის დასაწყისი?

კლიმენტი ელიზბარაშვილი,

ეკონომიკური მიმომხილველი.

საუბარი გახსენებით მინდა დავიწყო. საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც 1992 წლის 27 ივლისს გაიმართა, ითქვა, რომ ჩვენში მიმდინარე კრიზისს ჯერ კიდევ არ მიუღწევია საბოლოო ზღვრამდე. ვითარების ოპტიმისტური ან პესიმისტური შეფასების მიზნით ახსენეს სანახევროდ შევსებული ჭიქა, რომელსაც ზოგიერთი სანახევროდ სავსეს, ზოგნი კი სანახევროდ ცარიელს ეძახის. ეს მაშინ, წლის პირველი ნახევრის შედეგებთან დაკავშირებით ითქვა. მას შემდეგ ჩვენში მიმდინარე კრიზისმა უფრო იმძლავრა და კულმინაციას მიაღწია.

კრიზისი უძველესი მოვლენაა. იგი დროგამოშვებით მეორდება. არადა, წარმოებას არ შეუძლია განვითარდეს სხვაფრივ, თუ არა ნახტომებით ორი ნაბიჯი წინ, ერთი ნაბიჯი (ზოგჯერ კი ორიც) უკან. კრიზისის საფუძველია და ძირითადი მიზეზი იყო, არის და კვლავაც იქნება დაპირისპირება და წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის.

ჩვენში მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა, ჩემი აზრით, უკვე განვლო მორიგი, ძირითადი ფაზა — დეპრესია ანუ ეკონომიკური მოშლილობა — და გაცხოველების ფაზაში გადავიდა. ამის შემდეგ აღმავლობა იწყება.

კრიზისი, რომელიც ყველაფერს მოედო, მიმდინარეობს არა მიმოქცევის სფეროდან, როგორც ზოგიერთს ჰგონია, არამედ წარმოებიდან. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ზოგიერთ ვაი-ეკონომისტს სტიქიური საქონელგაცვლის თვითორგანიზება დღესაც მიაჩნია ეკონომიკური კატასტროფის ლიკვიდაციის ძირითად ფორმად. მეტიც, მათი მტკიცებით, თავისუფალი მეწარმეობა და კომერციული კოოპერატივების საქმიანობა წარმოადგენს ჩვენი განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას.

ჩემი აზრით, ეკონომიკისა და მისი რიგი პრობლემების ასეთ გაუბრალოებულ გააზრებას, როცა, მით უმეტეს, მას მხარს უჭერდა ხელისუფლება, არ შეეძლო არ მოეტანა და მოიტანა კიდეც ცხოვრების დონის დაქვეითება და მასობრივი სიდუხჭირე.

მიმოქცევის მოვლენები მხოლოდ გარეგანი სიმპტომებია, რომლებიც ამ სფეროში მიმდინარე პროცესებს ასახავენ. 1991 წელს, წინა წელთან შედარებით, რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი 25 პროცენტით შემცირდა. მისი ამ დონით გადიდებას ახლა წლები დასჭირდება.

ეკონომიკა: ცხრა თვის შედეგები

კრიზისი შეუნელებელი ძალით გრძელდება წელსაც. ექვსი თვის მანძილზე მარტო სამრეწველო პროდუქციის წარმოება 21 პროცენტით შემცირდა. პირუტყვისა და ფრინველის ხორცის წარმოება-დამზადებამ 60 პროცენტით მოიკლო, რძისამ — 38 პროცენტით, კვერცხისამ კი —63 პროცენტით... ამ პროცესმა ქრონიკული ხასიათი მიიღო მესამე კვარტალში: თითქმის მთლიანად მოიშალა ეკონომიკა, კიდევ უფრო გაძლიერდა საგარეო კავშირ-ურთიერთობის რღვევის ტემპი, ნულს მიუახლოვდა მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ამპლიტუდა, უკიდურესად გამწვავდა კრიმინოგენული სიტუაცია.

როგორც რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, სამრეწველო წარმოების მოცულობა მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის 47 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

კიდევ უფრო უარესი ვითარება შეიქმნა სოფლის მეურნეობაში. წლეულს ცხრა თვეში 65 პროცენტით შემცირდა ხორცეულის დამზადება, იმავე პერიოდში დამზადდა 86,2 მილიონი ცალი კვერცხი, ანუ ერთისამად ნაკლები, ვიდრე შარშან.

კვლავ კლებულობს საცალო საქონელბრუნვა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურება.

ყოველივე ამან სხვა მოვლენებთან ერთად კიდევ უფრო გააუარესა სამომხმარებლო ბაზარი და ფულის მიმოქცევა. პირველი ოქტომბრისათვის სამომხმარებლო ფასების ინდექსი 550 პროცენტს აღწევდა. ეს იმას ნიშნავს, რომ წლეულს 9 თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 5,5-ჯერ გაძვირდა მოსახლეობისთვის აუცილებელი სამრეწველო საქონელი და სურსათ-სანოვაგე. თუ ამას დავუმატებთ რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კოლოსალურად მზარდ ფასებს, მაშინ უფრო ნათელი გახდება ჩვენში საოჯახო ბიუჯეტის დაქვეითებისა და გაღატაკების სურათი.

და, ბოლოს, ორიოდე სიტყვა სტატისტიკის, როგორც სოციალური შემეცნების იარაღის, ერთი „ცდუნების" შესახებ. მხედველობაში მაქვს საინდექსო მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც გამოითვლება ამა თუ იმ მონაცემის ზრდის ტემპი. იმის გამო, რომ ყოველთვის არ ხერხდება წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის სფეროში ფულის ჰიპერინფლაციური ცვლილებების შედეგის ზუსტად დადგენა, ბევრი მაჩვენებლის დინამიკური სიდიდე შესადარისი არ არის. სხვანაირად რომ ვთქვათ, მახინჯდება რეალური სურათი. ავიღოთ თუნდაც თავად კრიზისის ყველაზე დამახასიათებელი შედეგები, რომელიც, სწორედ ზემოთ თქმულის გამო, ერთობ „ფარულად" ვრცელდება. მართლაც, ბოლო ხანებში ჩვენში წარმოებული მატერიალური დოვლათი ნელ-ნელა იკლებდა, ჩვენ კი ამ ფაქტს სრულად ვერ აღვიქვამდით, რადგან შედარებები კეთდებოდა არა ე. წ. საბაზო ინდექსით, არამედ მხოლოდ ერთი, წინა წლის ისედაც შემცირებული მაჩვენებლის მიმართ. ასეთ შედარებას სტატისტიკოსები ჯაჭვურ ინდექსს უწოდებენ. იგი დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთში მომხდარ ცვლილებებს ასახავს. არადა, თუ, მაგალითად, ამჟამინდელ ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებს შევუდარებთ 1985 წლის დონეს, საიდანაც ფაქტობრივად დაიწყო წარმოების დაქვეითება, აღმოჩნდება, რომ მისი კლების დონე გაცილებით მეტია. იგი გამოისახება არა ზემოთ ხსენებული პროცენტების ფარგლებში, არამედ 5-6-ჯერ უფრო შემცირებულად.

და ერთიც, წარმოებული პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ცვლილებათა დასახასიათებლად, საჭიროა არა მარტო ღირებულებითი სიდიდეების გამოყენება, არამედ მათი ნატურალური, ე. ი. ზომა-წონის მაჩვენებლებით სარგებლობა. არადა, როგორც ცნობილია, სისტემატურად, ბოლო ხანებში კი კოლოსალურად მატულობს ყველა სახეობის წარმოების საშუალებების, განსაკუთრებით ნედლეულის საბითუმო ფასები. ამით ხელოვნურად იზრდება ფულში გამოხატული ნატურალური პროდუქციის მასა.

კრიზისული მოვლენების სწორი ანალიზისა და მიღებული შედეგების ზუსტი შეფასების მიზნით საჭიროა წარმოების შედეგები დავუკავშიროთ მოსახლეობის რაოდენობრივ ცვლილებებს,

ყოველივე ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ უფრო დაბეჯითებით ვთქვა: ჩვენში მიმდინარე კრიზისს უფრო მწვავე ხასიათი აქვს, ვიდრე იგი მოჩანს ზემოთ განხილული სტატისტიკური მონაცემების ფონზე.

და, ბოლოს, — რაც შეეხება ისტორიული 11 ოქტომბრის არჩევნების მნიშვნელობას. მკითხველს სჯერა, რომ ამიერიდან ჩვენში იწყება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური აღორძინების ხანა. მთელმა საზოგადოებრიობამ რესპუბლიკის პარლამენტისა და მისი თავმჯდომარის წარმატებული არჩევა აღიქვა, როგორც დიდი კრიზისის დასასრულის დასაწყისი, როგორც აღმასვლის პირობა და გარანტი..

ღმერთმა ქნას ასე, იყოს.

თანადგომა

ეხმარებიან აფხაზეთიდან ლტოლვილებს

ემზარ შელეგიამ, რამაზ ხაჯანიძემ, მაია ალანიამ, აგრეთვე ალექსანდრე აბულაძის ექვსსულიანი ოჯახის წევრებმა რაღაც სასწაულით დააღწიეს თავი მძიმე განსაცდელს და ქ. სენაკს მოაშურეს. ისინი გულთბილად და სტუმართმოყვრულად შეიფარეს ხოთო შამათავასა და ელისო გიჟიბერიას ოჯახებმა, ხალიჩების საქსოვი კომბინატის თანამშრომლის ეთერ ნაროუშვილის ოჯახმა გულითადად გაუღო კარი სოხუმელ ლტოლვილებს თამარ გადელია-აბალაიას, მარინა და მანანა ქავთარაძეებს, ესმა გადელიას, თია უვანიას და სხვებს, ხოლო ლისტამბერ ჯიქიას ოჯახმა, — გულისა, სვეტლანა და უუჟუნა სურმავებს, ნატო ქავთარაძეს, გიორგი სურმავას, სოფია სურმავას, ციცინო პილიევინას და ანა პოპოვას. ახლა მათ მსგავსად აფხაზეთის ტრაგიკული ამბების გამო სენაკში ყოველდღე ათობით ლტოლვილი ჩამოდის. საერთოდ კი ლტოლვილთა რაოდენობამ 1200-ს გადააჭარბა. მათი დაბინავება-პატრონობის საქმეს ხელმძღვანელობს, რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობასთან არსებული გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამოძმეთა პრობლემების მოგვარების სპეციალური შტაბი.

— არსებული სერიოზული ეკონომიკური სიძნელეებისა და პრობლემების გამო შტაბის მუშაობაში ნაკლოვანებები საკმაოდ არის, — გვითხრა მისმა ხელმძღვანელმა, რაიონული გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ეკა გაბუნიამ, — მაგრამ, შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ მწარე ხვედრი უსახლკაროდ და უსახსროდ დარჩენილ თანამოძმეებს. ამ მიზნით ანალოგიური შტაბები გვაქვს შექმნილი სოფლების საკრებულოთა გამგეობებთან. იქ აღრიცხავენ ლტოლვილებს, აძლევენ მათ ტალონებს, აპიროვნებენ სასურსათო მაღაზიებზე. იმ ლტოლვილებს, ვისაც სენაკში ნათესავები და ახლობლები არა ჰყავს, მათი მიღებისა და დახმარების მოსურნე სენაკელთა ოჯახებში ვათავსებთ. ასეთი ოჯახები კი, საბედნიეროდ, საკმაოდ ბევრია. ქალაქად დაბინავებულ ლტოლვილებს გამოვუყავით კარაქი, — ზეთი, შაქარი, მაკარონი, სხვა პროდუქტები. ამ დღეებში სპეციალურად მათთვის შემოვზიდავთ ფქვილსაც. სოფლად დაბინავებულ ლტოლვილებს უკვე დავურიგეთ ბრინჯი, მანანის ბურღული, კვერცხი, სხვა სურსათი.

ლტოლვილებისადმი ყურადღებასა და თანადგომას იჩენენ სენაკელები. მათთვის 5 ათასი მანეთის ღირებულების 22 დასახელების მედიკამენტი მოგვაწოდა ქალაქის მეოთხე საშუალო სკოლის პედაგოგმა ვაჟა ჯიქიამ, ხოლო 6200 მანეთის მედიკამენტი — სენაკის მეოთხე აფთიაქის კოლექტივმა (გამგე — ანზორ ლომაია). ფირმა „სენტექსის" დირექტორმა მიხეილ ჯანელიძემ 6 ათასი მანეთის 3 დასახელების იმპორტული სურსათი გადმოგვცა ლტოლვილი თანამოძმეებისათვის, ხოლო ნოქალაქევის პურკომბინატის დირექტორმა რომან კანკავამ — ორი ყუთი იმპორტული ხორცის კონსერვი. სენაკის უმაღლესი პროფესიული ლიცეუმის შრომითი კოლექტივი თბილ ტანსაცმელსა და ფულს აგროვებს. მასვე სრულ მზადყოფნაში აქვს ლიცეუმის საერთო საცხოვრებელიც ლტოლვილებისათვის და ა. შ.

ლტოლვილებისადმი ზრუნვასა და თანადგომას კვლავაც არ შევანელებთ, დასძინა ბოლოს ქალბატონმა ეკამ.

რევაზ გრიგოლავა,

„სრ" საკ. კორ.

მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდისგან

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდში მიმდინარეობს აფხაზეთიდან ლტოლვილთა მატერიალური და ფულადი დახმარება.

მოსახლეობას ვთხოვთ შემოიტანონ ზამთრისთვის აუცილებელი ტანსაცმელი, ფულადი შემოწირულებები განსაცდელში მყოფ ლტოლვილების ოჯახებისათვის ადგილზე გადასაცემად.

აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, გორის რეგიონალურ განყოფილებებს, რაიონულ ხელშემწყობ კომისიებს და სრულიად საქართველოს გულმოწყალების იდეალების ერთგულებს ვთხოვთ აღმოუჩინონ საჭირო დახმარება გადმოსახლებულ ლტოლვილებს და გაჭირვებულ ხალხს.

ჩვენი მისამართია: ქ. გამსახურდიას გამზირი, 80, მე-4 სართული, ოთახი 401-402, ტელ.: 38-61-70; 38-07-75 (საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შენობაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენები და კომენტარები

ოპოზიცია აქვეყნებს რუსეთის პრეზიდენტის „უჩუმრად“ გადაყენების გეგმას

სხვა გაზეთებიდან

ИЗВЕСТИЯ

№ 222

14 ოქტომბერს საღამოს რუსეთის არხის ტელემაყურებლებს შესაძლებლობა მიეცათ ბევრი საინტერესო რამ გაეგოთ „ოპოზიციის“ პროგრამიდან იმ მუშაობის წყალობით, რომელიც ვლადიმერ პანკოვმა გასწია დეპუტატებთან გენადი ბენოვთან (ფრაქცია „მამული“) და მიხეილ ჩელნოკოვთან („სამოქალაქო საზოგადოება“). მაყურებლებმა შეიტყვეს არა მარტო ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრები, არამედ მოქმედების გეგმაც.

მართალია, ასეთი ყაიდის პოლიტიკოსთა აზრები არავის გააკვირვებს, მაგრამ ყოველთვის გესიამოვნება კაცს, როდესაც დაუფარავად, მიუკიბ-მოუკიბავად ლაპარაკობენ იმაზე, რასაც სხვა ორატორები „ბამბაში ახვევენ“. აი, გენერალი ბენოვი აკრიტიკებს რუსეთის პოლიტიკას საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფალთა შორის კონფლიქტის მიმართ. არ არის შემუშავებული რუსეთის პოლიტიკა ამ სფეროში, — ამბობს გ. ბენოვი. აქ უკვე გავამახვილე ყურადღება და მთელი გულისყურით ვუსმენდი, იმიტომ რომ ახლო საზღვარგარეთის მიმართ რუსეთის პოლიტიკის კონცეფციის უქონლობაზე „იზვესტია“ უკვე წერდა, აქ მართლაც არის პრობლემა. მინდოდა გამეგო, რას იტყოდა დეპუტატი, დასჯერდებოდა მორიგ საყვედურს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ თუ ბოლოს და ბოლოს გვამცნობდა, რომ ესოდენ რთული, უპრეცედენტო პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებას უნდა მოჰკიდონ ხელი მთავრობის ხელმძღვანელებმაც, უშიშროების საბჭომაც და საპარლამენტო კომიტეტებმაც. არც ერთი, არც მეორე: ოპოზიციის წარმომადგენელმა დეპუტატმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ერსახკომი და მისი თავმჯდომარე ვ. ტიშკოვი, გავოცდი: ნეტავ თუ ახსოვს მას, რომ აფხაზეთი არ შედის რუსეთის შემადგენლობაში, რომლის ხალხთა პრობლემებზეც მუშაობს ერსახკომი? მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი ხარვეზები ჰქონდეს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებაში, მაშასადამე, ისღა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ გ. ბენოვი არ ასხვავებს რუსეთის საშინაო პოლიტიკას და მის პოლიტიკას ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების მიმართ. იგი მზად არის წყვეტდეს საქართველოს საქმეებს ისე, როგორც რუსეთისას.

კაცმა რომ თქვას, კიდევ უფრო საინტერესო მოსასმენი იყო მ. ჩელნოკოვი — ეს ის ჩელნოკოვია — გახსოვთ? — პარლამენტის სხდომაზე ლამის თავზე რომ გადაახია თავისი ვაუჩერი ვიცე-პრემიერს. ნუ შეიცხადებთ, ეს მისი ნამდვილი ვაუჩერი კი არ იყო, არამედ უბრალოდ სუფთა ბლოკნოტი, სწორედ ასე აუხსნა ტელემაყურებლებს. ჰოდა, აი ამ ჩელნოკომა, მთავრობისეული პრივატიზაცია მოტყუებად რომ მიაჩნია, ჩამოაყალიბა ბოლოს და ბოლოს თავისი გეგმა (თვითონ თქვა, პარლამენტში ვერა და ვერ მოვიცალეო კონსტრუქციული პროგრამის გამოსაქვეყნებლად). „შეიქმნას მთელ რუსეთში 100 ჰოლდინგი მსხვილი საწარმოებისაგან და მიეცეს ყოველ მოქალაქეს — ას-ასი აქცია, რათა ისინი გახდნენ ყველა ჰოლდინგის თანამფლობელები“. ერთისგან თუ არა, მეორისაგან ხომ შემოვა დივიდენდები — ყველასათვის თანაბრად, ყველაფერი სამართლიანია.

სიტყვა უდავოდ მოდურია, მაგრამ მე მეპატიჟებიან არა ერთ ჰოლდინგში რამდენიმე ათას აქციონერთან ერთად, არამედ — ასში, თითოეულში 150 მილიონი მონაწილე რომ არის. მაშ რისღა მესაკუთრე ვიქნები იქ? ეს არაფერს არ გახსენებთ, მკითხველო? გაიხსენეთ, თქვენ ხომ უკვე იყავით აქციონერი გრანდიოზული ჰოლდინგისა, რომელსაც ეწოდებოდა „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო“. მართალია, იქ იყო ერთი სანუგეშო განსხვავება: გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ, იმ ჰოლდინგის 270 მილიონი თანამფლობელი, ბატონ-პატრონნი ვართ ქონებისა, იმიტომ რომ ვირჩევთ დეპუტატებს, ისინი — მინისტრებს, და ჩვენ ამრიგად ყველანი რაღაცას ვმართავთ — თუმცა, მართალი გითხრათ, ვერაფრის დიდებით ვერ დავადგინე, პირადად მე რას ვმართავდი. სახელმწიფო — მონოპოლისტური სოციალიზმის გამგებლობის შედეგი დღეს ჩვენ უკვე გვაქვს. მაგრამ ჩელნოკოვისეულ პროექტში ამ სუსტ მოჩვენებითობასაც კი არ გვთავაზობენ. პროექტის ავტორი არც კი ცდილა შემოეთავაზებინა მექანიზმი, რომლის მეშვეობით 150 მილიონი „თანამფლობელი“ დანიშნავს ადმინისტრაციას — თითოეული — ას ჰოლდინგში ქვეყნის ყველა კუთხეში. წინათ ამას ეწოდებოდა სამინისტროები ან სახალხო მეურნეობის საბჭო და ექვემდებარებოდა, მართალია, ბიუროკრატიულ, მაგრამ მაინც — სახელმწიფო კონტროლს, ახლა ოპოზიცია გვთავაზობს ვუწოდოთ მას რიხიანი „ჰოლდინგი“. სახელმწიფო კონტროლზე უკვე ლაპარაკიც არ იქნება იმიტომ, რომ ქონება „პრივატიზებულია“. საწარმოსადმი კონტროლი საკუთარი კოლექტივის მხრივ იქნება სრულიად უმნიშვნელო (ისეთივე, როგორიც უმნიშვნელო არის მისი წილი 150 მილიონ „თანამფლობელთა“ შორის) — ერთი სიტყვით, ბიუროკრატიული კასტის ყოვლად შეუზღუდავი ძალაუფლება დაკანონებული გახდება.

საგულისხმოა, რომ პრივატიზაციის სამეწარმეო, საწარმოო ფუნქცია მ. ჩელნოკოვს არ უხსენებია — მთელი არგუმენტაცია გამოიხატა „სამართლიანი განაწილების“ ტიპით. მექანიკური განაწილება ერთნაირი მუჭით „აქციების“ მიხედვით, ყველას — თანაბრად, ვერ მოგვცემს შრომის (და მით უმეტეს, მეწარმეობის) იმ სტიმულებსაც კი, რომლებსაც იძლევა დაქირავებული მუშაკის ჯამაგირი. გავიხსენოთ, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში თომას მორი, როდესაც უტოპიის კუნძულს აღწერდა, გვთავაზობდა არა მარტო დოვლათის, არამედ შრომითი მოვალეობების თანაბარ განაწილებას. თანამედროვე „ჰოლდინგური უტოპია“ ეკონომიკური აქტიურობის ასეთ სუსტ გარანტიებსაც კი არ შეიცავს. თანასწორი განაწილების საფუძველზე აყვავების იდეა სრულყოფილებამდეა მიყვანილი. თუ — აბსურდამდე?

მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო შემდეგი: მ. ჩელნოკოვმა გვაუწყა, როგორ აპირებენ იგი და მისი თანამზრახველები გამოიყენონ შესაძლებლობანი, რომლებსაც მათ მიანიჭებს რუსეთის სახალხო დეპუტატთა დეკემბრის ყრილობა. პირველი — ხელისუფლებას ჩამოაშორონ რუსეთის პრეზიდენტი იმპიჩმენტის გზით: კაცი მთელმა ხალხმა აირჩია, ახლა კი გადააყენებენ ჩელნოკოვი და მისი ამფსონები. ამასთან აპირებენ არა მარტო პრეზიდენტის გადაყენებას, არამედ თვით პრეზიდენტობის გაუქმებასაც.

—მაშინ რა იქნება — პირველი პირი გახდება ხასბულატოვი? — ჰკითხა წამყვანმა. — პასუხად მხოლოდ ის ითქვა, რომ ხასბულატოვი მეტისმეტად ლიბერალურია ამ არაფრის მაქნის მთავრობასთან. პირველი პირის კანდიდატურის საკითხი ღიად დარჩება. მთავარია, არ იყოს პრეზიდენტი, და მისი გადაყენებით, ჩელნოკოვის აზრით, „არავითარი ტრაგედია არ მოხდება“. მან აქვე მოიყვანა იმ ადგილის ღირსეული მაგალითი, სადაც გადააყენეს და — „არავითარი ტრაგედია არ მომხდარა“: ტაჯიკეთი. მართალია, იქვე დასძინა: „ოღონდ კანონიერად, ყველაფერი კანონიერად უნდა გაკეთდეს“. რაც შეეხება „არავითარ ტრაგედიას“, ამაზე აღარაფერი უთქვამს.

გავითვალისწინებთ. უჩუმრად გადაყენების გეგმას — „გკჩპ“-ის როლში ყრილობითურთ — ამასაც მხედველობაში მივიღებთ. რაც უნდა იყოს, ტყუილად ხომ არ ელოდა თავის დროს ოპოზიცია — მე ვგულისხმობ ეთერის დროს. ეს ძალზე სასარგებლო დრო იყო. ასეთ ხალხს უნდა მოუსმინო — მაშინ ბევრი რამ გახდება გასაგები.

დღეს უფრო საგრძნობია რეფორმების თანამდევი გაჭირვება — დროთა განმავლობაში თავს იჩენს მათი გამაჯანსაღებელი მოქმედება. დღეს ადამიანები იღებენ ვაუჩერებს — საკუთრების უფლების სიმბოლოებს, — ხვალ ხელთ ექნებათ კონკრეტული საკუთრება. დღეს „სახელმწიფო რეგულირების“ მომხრეებმა შეძლეს აეზვირთებინათ ინფლაციის ახალი ტალღა. მეორედ საზოგადოება, რომელმაც ჭკუა ისწავლა მწარე გამოცდილებით, აღარავის დაანებებს შეცდომის გამეორებას. ვიღაცას ჰგონია, რომ მომავალი ყრილობა მოვლენათა ჩარხის უკუღმა დაბრუნების უკანასკნელი შანსია. ვინ წამოჰყოფს თავს ყაყანა ოპოზიციის ზურგიდან მას შემდეგ, რაც იგი თავის სათქმელს იტყვის ყრილობაზე?

ოტო ლაცისი.

რეპორტაჟი სოხუმიდან

ვითარებას საიმედოდ აკონტროლებენ

ამჟამად ყოველდღე, ზოგჯერ კი ღამ-ღამობითაც, მიმდინარეობს ბრძოლები სოხუმის მიდამოებში. ხან გუმისთის ხეობის მხრიდან, სადაც მოინიშნა ქალაქზე მთავარი დარტყმის მიმართულება, ხანაც ზღვასთან ჩრდილოეთის მხრივ აღმართული მთის ფერდობებიდან აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებები და დაქირავებულები, ეტყობა, ცდილობენ მოსინჯონ სუსტი წერტილები გადამწყვეტი იერიშისთვის. მაგრამ, როგორც საპასუხო ცეცხლის ინტენსიურობიდან ჩანს, საქართველოს მხარის პოზიციების თავდაცვით ხაზებში არ არის სუსტი წერტილები, თუმცა, არის ცხელი წერტილები, სადაც საქართველოს მთავრობის ჯარები ყოველთვის ახშობენ ხოლმე მოწინააღმდეგის ინიციატივას, როგორც ეს მოხდა 18 ოქტომბერს სოხუმის გარეუბანში სოფელ ეშერასთან და ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღთან ფიცხელი ბრძოლის დროს, სადაც აფხაზეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა და ჩრდილოკავკასიელმა დაქირავებულებმა დიდი ზარალი ნახეს.

ფრონტისპირა ქალაქის საზრუნავითა და გასაჭირით ცხოვრობს შემოდგომის ამ დღეებში სოხუმი. სახალხო მოლაშქრეები მონაწილეობენ ქალაქის გარეუბნების დაცვის განმტკიცების სამუშაოებში. სამხედრო კომისარიატის მახლობლად, საითკენაც დაიძრნენ სოხუმელები, რათა ჩადგნენ მშობლიური ქალაქის დამცველთა რიგებში, დილიდან საღამომდე ხალხმრავლობაა.

დაძაბულობის, ქალაქის ზოგიერთ ქუჩით მოძრაობის საშიშროების მიუხედავად, სოხუმში კვლავ მუშაობს ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის ყველა ობიექტი, ცხვება პური, ქალაქელების სახლებსა და ბინებს აწვდიან წყალსა და ელექტროენერგიას. ყოველივე ეს ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებთა გულს ხვალინდელი დღის და იმის რწმენას უნერგავს, რომ ქალაქში ვითარებას საიმედოდ აკონტროლებენ აფხაზეთში სტაბილიზაციის დროებითი კომიტეტი, კომენდატურა და სამხედრო პოლიცია.

სწორედ ამ რთულ ვითარებაში, როცა მთავრობის შტაბიდან მიღებულ ყოველ ინფორმაციას, როგორც იტყვიან, ოქროს ფასი აქვს, გაისმა აფხაზეთის ტელევიზიით აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გ. ხაინდრავას სიტყვები. ილაპარაკა რა საომარი მოქმედების ზონაში შექმნილ ვითარებაზე, მან, კერძოდ, თქვა, რომ იქ საბრძოლო ოპერაციები წარმატებით ხორციელდება, რომ გვარდიამ მიიღო მნიშვნელოვანი დახმარება ცოცხალი ძალითა და ტექნიკით.

ჩვენ თვითონ არ გვსურს მივაყენოთ დარტყმა მოწინააღმდეგის პოზიციებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ათასობით ადამიანის მსხვერპლი, და ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ აფხაზეთის მხარეს მოეგონ გონს, გაიყვანონ აფხაზეთის ტერიტორიიდან დაქირავებულები და მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას. მოუწოდა რა სოხუმის მოსახლეობას გამოიჩინოს თავშეკავება, არ აჰყვეს პანიკას, მან დაასკვნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ შეუმსუბუქონ ცხოვრება ქალაქელებს, რომ მძარცველების, მოროდიორების წინააღმდეგ გამოყენებული იქნება დასჯის მკაცრი ღონისძიებანი, რომ თანაბრად იქნება დაცული, შეძლებისდაგვარად არ მოაკლდება ყურადღება და ზრუნვა აფხაზეთის დედაქალაქში მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს.

●

სურათებზე: ერთი იმათგანი, ვინც სეპარატისტთა და დაქირავებულთა წინააღმდეგ იბრძვის; მკაცრად აკონტროლებენ სოხუმისკენ მიმავალ ყველა გზატკეცილს.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

მიმდინარეობს რკინიგზის აღდგენა

რადგან უნდა დაგვიჯდეს, უნდა განვაახლოთ მატარებლების მოძრაობა აფხაზეთში. ყველას, ვინც ხელს უშლის ამ საქმეს, შეუბრალებლად გავუსწორდებით, — თქვა, კერძოდ, აფხაზეთის ტელევიზიით გამოსვლისას ჯაბა იოსელიანმა, რომელიც უკვე ორი კვირაა ავტონომიურ რესპუბლიკაში იმყოფება. იგი პირადად ხელმძღვანელობს ქალაქ ოჩამჩირის მისადგომების აფხაზი სეპარატისტებისა და ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულთა შეიარაღებული ბანდებისაგან გაწმენდის მიზნით „მხედრიონის“ რაზმების საბრძოლო ოპერაციებს. 16 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა 18 ოქტომბერს მხედრიონელთა ბრძოლები სოფელ ტამიშის რაიონში აფხაზებისა და ჩეჩნების შეიარაღებულ ფორმირებებთან. მხედრიონელებმა გაანადგურეს მომხდურნი.

— ამრიგად, მთლიანად ვაკონტროლებთ სოფლებს ტამიშსა და კინდღს, — თქვა ბატონმა ჯაბა იოსელიანმა, — და 18 ოქტომბერს დაიწყო სარკინიგზო მაგისტრალის, აფეთქებული ხიდების, კავშირგაბმულობის კომუნიკაციათა აღდგენა. დამყარებულია სატელეფონო კავშირი თბილისთან, სოხუმთან კი იგი ამ დღეებში აღდგება. ყველგან მრავლად გახვდება ნაღმები, თანაც, არა თვითნაკეთი, არამედ „საფირმო“, რუსეთის სამხედრო ქარხნებში დამზადებული. მუშაობა ამ ნაღმების გაუვნებლებისთვის უკვე მიმდინარეობს.

გრძელდება ტყეში დაფანტული მოწინააღმდეგის ბანდების დევნა. ისინი საკმაო მსხვერპლს განიცდიან. ერთი რამ ვერ გამიგია — ვის ინტერესებს იცავენ აფხაზები? მე ხელთ მაქვს ოცი კაცისგან შემდგარი განადგურებული ჯგუფის სია. მათ შორის ხუთი თურქეთის მოქალაქეა, ერთი რუსია, დანარჩენები კი თითქმის ყველანი ჩეჩნები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი დაქირავებულები არიან.

დასასრულ ჯაბა იოსელიანმა თქვა, რომ სოხუმი საიმედოდაა დაცული.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოები გვატყობინებენ

ნატოს ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის სესია

შოტლანდიის ქალაქ გლინიგზში დაიწყო ნატოს ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის 52-ე სესია თავდაცვის მინისტრების დონეზე. სესიას თავმჯდომარეობს ჩრდილოატლანტიკური კავშირის გენერალური მდივანი მანფრედ ვერნერი. დიდ ბრიტანეთს წარმოადგენს მისი თავდაცვითი უწყების მეთაური მალკომ რიფკინდი.

ოთხშაბათს სესია მუშაობას დაამთავრებს. მისი შედეგების მიხედვით მოელიან, რომ მიიღებენ საბოლოო დოკუმენტს, რომელშიც დასახული იქნება უახლოესი პერსპექტივისათვის ნატოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი.

ავსტრია — ევროპის გაერთიანებაში

ვენაში მიმდინარე სემინარზე „ახალი საგარეო პოლიტიკა შეცვლილ მსოფლიოში“ ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალოის მოკმა მხარი დაუჭირა ავსტრიის უსწრაფეს შესვლას ევროპის გაერთიანებაში, აგრეთვე ქვეყნისათვის დასავლეთ ევროპის კავშირში მეთვალყურის სტატუსის მინიჭებას.

მან აღნიშნა, რომ ევროპის ინტეგრაციულ პროცესებში ავსტრიის ჩართვა ხელს შეუწყობს ევროპის გაერთიანების საქმიანობის დინამიკის ზრდას, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება ერთიან ევროპაში მიმავალ გზაზე. მინისტრმა გამოთქვა იმედი, რომ ედინბურგის უმაღლესი დონის შეხვედრა გადამწყვეტი ეტაპი გახდება ევროპის გაერთიანებასა და იმ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების დაწყების პროცესში, რომლებმაც გამოთქვეს ევროპის გაერთიანებაში შესვლის სურვილი.

მინისტრმა გააანალიზა ავსტრიის საგარეო პოლიტიკის საკვანძო ასპექტები და აღნიშნა, რომ მისი ძირითადი მიმართულებანია ევროპის ინტეგრაციის განმტკიცება და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან კონტაქტების გაფართოება. ალოის მოკმა შეშფოთება გამოთქვა ევროპის კონტინენტზე მოვლენათა განვითარების გამო, უწინარეს ყოვლისა, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების ესკალაციასთან დაკავშირებით, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იუგოსლავიის კრიზისი საფრთხეს უქმნის არა მარტო ავსტრიას, არამედ ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც.

ზანგები — პოლიციაში

ნიუ-იორკის პოლიციის სამმართველოს ახალმა უფროსმა რეიმონდ კელიმ კვირას — ამ პოსტზე დანიშვნიდან ზუსტად ორი დღის შემდეგ განაცხადა, რომ თავის პირველ და „ყველაზე მნიშვნელოვან“ ამოცანად მიაჩნია პოლიციელთა რიგებში შავკანიანი თანამოქალაქეების ჩაბმა. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქში 28 ათასამდე წესრიგის დამცველია, რომელთაგან მხოლოდ 3.121 ანუ 11,4 პროცენტია აფრო-ამერიკელი. ამავე დროს ქალაქის ზანგი მოსახლეობა 28,7 პროცენტს შეადგენს.

„მოლაპარაკე“ აპარატი უსინათლოებისთვის

ამერიკის კომპანიამ „ქსეროქსმა“ შეიმუშავა პორტატიული ვარიანტი „მოლაპარაკე“ აპარატისა უსინათლოთათვის: მას შეუძლია წაიკითხოს წიგნის ან ნებისმიერი სხვა დაბეჭდილი ტექსტი და წარმოთქვას იგი სინთეზატორის დახმარებით ელექტრონული ხმით. აპარატი „რიდინგ ეჯი“, რომლის ზომა ოდნავ აღემატება ჩვეულებრივი პორტფელის ზომას, დაახლოებით 9 კილოგრამს იწონის და გაიყიდება 5.495 დოლარად. როგორც მისი შემქმნელები ამბობენ, წინა თაობის ასეთივე აპარატები შედგებოდა ორი ნაწილისგან, იწონიდა თითქმის 25 კილოგრამს და ორჯერ უფრო ძვირი ღირდა.

„რიდინგ ეჯში“, რომელიც წარუდგინეს ნიუ-იორკში ექსპერტებსა და ჟურნალისტებს, გამოყენებულია ყველაზე თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგია, რომელიც დაბეჭდილი სიტყვების ამოცნობისა და მათი ხმამაღლა წარმოთქმის საშუალებას იძლევა. კომპანია „ქსეროქსი“ დარწმუნებულია, რომ მის ახალ „მოლაპარაკე“ აპარატებზე დიდი მოთხოვნა იქნება.

შეიქმნა უშიშროების საბჭო

ტაჯიკეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის აკბარშო ისკანდაროვის ბრძანებულებით რესპუბლიკაში შეიქმნა უშიშროების საბჭო, რომელშიც შევიდნენ ტაჯიკეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელები. ახალი სამსახურის შექმნის მიზანია გაძლიერდეს ტაჯიკეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

აკბარშო ისკანდაროვი აპირებს განამტკიცოს თავისი აპარატი. პრეზიდენტის აპარატთან დაარსდა მთავარი სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობა, რომელზეც დაინიშნა ტაჯიკეთში თავისი სამშვიდობო მოღვაწეობით ცნობილი დავლათ ხუდონნაზაროვი.

დააპატიმრეს ტერორისტები

პერუს ტერორიზმთან ბრძოლის პოლიციამ შაბათს საღამოს ლიმაში დააპატიმრა მემარცხენე ექსტრემისტული დაჯგუფების „სენდერო ლუმინოსოს“ კიდევ შვიდი უმაღლესი ხელმძღვანელი.

დაკავებულთა შორის არიან ოსკარ რამირეს დურანი და მარტა უატაი. ამ ორი მოღვაწიდან ერთს, პერუს უშიშროების სამსახურის მონაცემებით, მოსალოდნელი იყო დაეკავებინა „სენდერო ლუმინოსოს“ ლიდერის პოსტი ამ ორგანიზაციის დამაარსებლის აბიმაელ გუსმანის ნაცვლად, რომელიც ადრე დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. უფრო მოსალოდნელი იყო, რომ გუსმანის მემკვიდრე შეიძლებოდა გამხდარიყო რამირეს დურანი, რომელსაც პერუს პრეზიდენტმა ალბერტო ფუხიმორიმ რამდენიმე დღის წინათ მესამე პირი უწოდა „სენდერო ლუმინოსოს“ იერარქიაში გუსმანისა და ელენა იპარაგირეს შემდეგ, რომელიც ამჟამად აგრეთვე იხდის სამუდამო პატიმრობის სასჯელს. ექსპერტები „სენდერო ლუმინოსოს“ ხელმძღვანელთა კიდევ ერთი ჯგუფის დაპატიმრებას უწოდებენ მორიგ ძლიერ დარტყმას ამ ტერორისტული ორგანიზაციის მიმართ ამა წლის 12 სექტემბერს გუსმანისა და მისი ცხრა სხვა ლიდერის დაპატიმრების შემდეგ.

„სენდერო ლუმინოსოს“ დაჯგუფების 12 წლის საქმიანობის მანძილზე, რომელმაც თავისი ბრძოლის მიზნად პერუში „მაოს იდეებზე დაფუძნებული მუშურ-გლეხური სახელმწიფოს“ შექმნა დაისახა, მისი ტერორისტების ხელით დაიღუპა 25 ათასამდე პერუელი, ქვეყნის ეკონომიკას კი უზარმაზარი ზარალი მიადგა.

დახოცეს პოლიტიკური მოღვაწენი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის ყოფილი დეპუტატები „მწვანეთა“ პარტიისაგან, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე პეტრ კელი (44 წლისა) და ბუნდესვერის გადამდგარი გენერალ-მაიორი გერტ ბასტიანი (69 წლისა) გუშინ გვიან საღამოს პოლიციამ ბონის ტანენბუშის რაიონში მათ ბინაში დახოცილები იპოვა.

გვამების ამოცნობა რთული საქმეა, რადგან ორივე მკვდარი პოლიტიკოსი ბინაში უკვე რამდენიმე დღის იყო და ხრწნა დაიწყო. მაგრამ მაინც, პოლიცია საკმაოდ გულდაჯერებით ამბობს, რომ ისინი პეტრ კელი და გერტ ბასტიანი არიან.

პოლიტიკოსთა დაღუპვის მიზეზებზე ბევრი ვერსია არსებობს. „ყველაფერი შესაძლებელია“, — თქვა პოლიციის მოხელემ: ეს შეიძლება იყოს ორმაგი მკვლელობაც და მესამე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ მკვლელობაც. გვამებზე პირველი შემოწმების შემდეგ იპოვეს ჭრილობათა კვალი.

პეტრ კელისა და გერტ ბასტიანს დიდი ხნის პირადი მეგობრობა, საერთო პოლიტიკური მსოფლმხედველობა აკავშირებდათ. ოთხმოციან წლებში ორივე პოლიტიკოსმა სახელი გაითქვა გაბედული ანტისაომარი გამოსვლებით, ამერიკის სამხედრო ბაზების ბლოკადებით, საბჭოთა სს-20 რაკეტებისა და გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების წინააღმდეგ პროტესტის აქციებით. უკანასკნელ ხანს, უნდა ითქვას, ისინი ჩამოშორდნენ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას.

არ წყდება მიწისძვრა ბიძგები

სტიქიური უბედურება დაატყდა თავს კოლუმბიას — ზედიზედ ორ დღეს წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, არ წყდება მიწისძვრა ბიძგები. კვირას მომხდარი ყველაზე მძლავრი ბიძგის ძალამ მიაღწია 7,2 ბალს რიხტერის სკალით. მიწისძვრამ გამოიწვია ვულკანის ამოფრქვევა, რის შედეგადაც დაიღუპა 10 კაცი. 50 კაცმა მიიღო ძლიერი დამწვრობა. ეს მიწისძვრა მოულოდნელი იყო სეისმოლოგებისთვის, რადგან იგი მოხდა რეგიონში, რომელიც არ გამოირჩევა სეისმური აქტიურობით.

თითო აბზაცით

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ იასირ არაფატმა გამოთქვა სურვილი შეხვდეს ისრაელის პრემიერ-მინისტრს იცხაკ რაბინს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის გააქტიურების მიზნით.

სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ 21-22 ოქტომბრისთვის საქართველოსა და სომხეთში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის როლან დიუმას ვიზიტი გაურკვეველი დროით გადაიდო, რადგან ამ დროს მინისტრი აუცილებლად საკუთარ ქვეყანაში უნდა იყოს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ „ასი დღე გავიდა, რაც იცხაკ რაბინი ისრაელის პრემიერ-მინისტრია, მაგრამ მან ვერ შეძლო მთავრობისადმი კონტროლის დაწესება და ისეთი მინისტრთა კაბინეტის შექმნა, როგორიც სურს“.

როიტერის სააგენტოს ცნობით შიიტური ოპოზიციის რაზმებმა ოქტომბერში განახორციელეს რამდენიმე წარმატებული ოპერაცია ერაყის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.

ცოტაც და გავერანებული საქართველო შეგვრჩება

არჯევან ლომიძე,
საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე.

უკანასკნელ ხანს პრესით, რადიოთი და ტელევიზიით არაერთხელ გაისმა განგაშის ზარი რესპუბლიკის უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრის—ტყის უმოწყალოდ გაჩეხვისა და სხვადასხვა მაქინაციებით რესპუბლიკაში მოპოვებული ხე-ტყის თურქეთში გატანის გამო. ამ მართლაც აღმაშფოთებელი ფაქტების შესახებ პრინციპულად ითქვა სახელმწიფო საბჭოზეც და რესპუბლიკის მთავრობაშიც. მწერლებმა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს რესპუბლიკის სამართალდამცავი, მათ შორის პროკურატურის ორგანოების მიმართაც.

მდგომარეობა, მართლაც, საგანგაშოა, და თუ ასე გაგრძელდა, მომავალ თაობებს გავერანებული და გაჩანაგებული საქართველო დარჩება.

რესპუბლიკის პროკურატურა, მისი ახლად შექმნილი სპეციალური განყოფილება სერიოზულად დაინტერესდა ამ პრობლემით.

ხელი მოითბეს რა რესპუბლიკაში შექმნილი მწვავე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, მართლწესრიგისა და დისციპლინის მოშლით, კოოპერატივებში, ფირმებსა და ორგანიზაციებში მოკალათებულმა საქმოსნებმა, ბათუმის საბაჟოს ზოგიერთი მუშაკის დახმარებით, მთავრობის აკრძალვის მიუხედავად, შეძლეს რესპუბლიკაში მოპოვებული ხე-ტყის მასალის უკანონოდ გატანა თურქეთის რესპუბლიკაში. ამას ისე ორგანიზებულად და სწრაფად აკეთებენ, რომ დანაშაულის გახსნა რთულდება. ერთადერთი ფაქტი, რომლის დადგენაც რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებმა შეძლეს, აფხაზეთში, კერძოდ გულრიფშის რაიონში მოხდა.

ბათუმის სარფის საბაჟოს ტერიტორიაზე მათ დააკავეს ხე-ტყით დატვირთული თურქეთის რესპუბლიკის ორი ავტომანქანა. შემოწმებით გამოირკვა, რომ ტვირთი ეკუთვნოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩაში მდებარე მცირე საწარმო „ჩიორას“ (დირექტორი — ვ. დადვანი), რომელსაც თურქეთის ფირმა „კავკაზ ემინთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაჰქონდა ხე-ტყე. „კავკაზ ემინის“ პრეზიდენტის ისმაილ გეილანის მიერ წარმოდგენილი საბუთებით დადგინდა, რომ ფირმამ საბარტერო ხელშეკრულების საფუძველზე მცირე საწარმო „ჩიორას“ შემოუტანა 10 ტონა პურის ფქვილი და 1,5 ტონა მზესუმზირის ზეთი, ხოლო ამ უკანასკნელმა მისცა მას 53 კუბური მეტრი ხე-ტყე. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ხეები მოჭრილი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მასალები დანაშაულის ამ ფაქტზე გადავეცით გულრიფშის რაიონის პროკურატურას და განსაკუთრებული კონტროლიც დავუწესეთ.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს ფაქტი გამონაკლისი კი არ არის, არამედ დამადასტურებელია იმ განუკითხაობის, რომელიც ეროვნულ დოვლათის განიავებასთან არის დაკავშირებული, რაც ერთხელ კიდევ დაადასტურა რესპუბლიკის პროკურატურისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ.

კოოპერატივები, საწარმოები და ორგანიზაციები სარგებლობენ მმართველობის ადგილობრივი, სამართალდამცავი და საკონტროლო ორგანოების სრული უკონტროლობით, წაყრუებით, და მოსახლეობისგან, რომელსაც დადგენილი წესით გამოეყო ხე-ტყე, შეისყიდიან მას და რუსეთიდან რეექსპორტის მიზნით შემოტანილ ხე-მასალაში შერევით ახერხებენ მის გატანას თურქეთში. ამჟამად ხულოს რაიონის ტერიტორიაზე აღრიცხულია 1500 კუბურ მეტრამდე მრგვალი სამასალე ხე-ტყე, ანალოგიური მდგომარეობაა ხელვაჩაურის რაიონში და ქალაქ ბათუმში.

ამ ბინძურ საქმეში არცთუ იშვიათად გარეული არიან ადგილობრივი მმართველობის, საკონტროლო და სამართალდამცავი ორგანოების, უწინარესად ავტოინსპექციისა და საბაჟოს მუშაკები. რესპუბლიკის ტრასებზე ხე-ტყით დატვირთული ავტომანქანების შემოწმება ხდება ფორმალურად და ზერელედ, დოკუმენტები ხშირად არ არის სრულყოფილი, ზოგჯერ აშკარად საეჭვოა, ეს ვაცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ვნახოთ, რა ღონისძიებებს განახორციელებენ.

ავტოინსპექციასა და ბათუმის საბაჟოში არსებულმა უკონტროლობამ შესაძლებელი გახადა, რომ მარტო აგვისტო-სექტემბერში თურქეთში გაეტანათ 22 ავტომანქანა ხე-ტყე. ამისთვისვე იყო გამიზნული ხელვაჩაურის რაიონის გონიოს მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე გადამალული 400 კუბურ მეტრამდე ხე-ტყე. ეს ოპერატიულად ვაცნობეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და... კოოპერატივმა „უაკემ“ მაინც „მოახერხა“ ამ მასალის საზღვარგარეთ გატანა.

მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია რესპუბლიკაში გაუქერქავი ხე-ტყის შემოტანა, მაგრამ რუსეთიდან კვლავ შემოაქვთ, თანაც საკმაოდ ბევრი: იქმნება სხვადასხვა დაავადებისა და მავნებლების გავრცელების რეალური პირობები.

ხდება ისე, რომ ხელმძღვანელი ადგილობრივი და რესპუბლიკური ორგანოები ერთმანეთს უპირისპირდებიან. მაგალითად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 27 მაისის № 164 განკარგულებით ქ. ბათუმის საბაჟოს და აჭარის მცენარეთა კარანტინის დაცვის ინსპექციას დაევალა აჭარის მეტყევე სპეციალისტების დასკვნის გარეშე არ დაეშვათ თურქეთში ხე-ტყის გატანის სათანადო საბუთების გაფორმება, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის 1992 წლის 19 ივლისის № 4 ბრძანების საფუძველზე ქ. ბათუმის საბაჟომ საჭიროდ არ ჩათვალა ასეთი დასკვნები, რამაც ხელი შეუწყო რესპუბლიკაში მოპოვებული ხე-მასალის თურქეთში უკანონო გატანას.

პრობლემის რეალურად და უთუოდ გადაჭრის მიზნით რესპუბლიკის მთავრობას წარვუდგინეთ წინადადებები საგანგებო ღონისძიებების თაობაზე:

როგორც დროებითი ღონისძიება, ბათუმისა და ფოთის საბაჟოებში მრგვალი და დახერხილი ხე-ტყის მასალის გასატარებლად დაწესდეს კვირაში ერთი დღე;

საზღვარზე გასატანი ხე-ტყის წარმომავლობის მიზნით საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მონაწილეობით შეიქმნას შერეული კომისია, რომელსაც მორიგეობით უხელმძღვანელებენ ამ უწყებათა თავმჯდომარეების მოადგილეები. საბაჟოებს აეკრძალოთ ამ კომისიის წერილობითი ნებართვის გარეშე მრგვალი და დახერხილი ხე-ტყის გატარება;

საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტმა პოლიციის ადგილობრივი ორგანოებისა და მეტყევე სპეციალისტების მონაწილეობით საბაჟოებთან მოაწყონ სადღეღამისო საკონტროლო პუნქტები, სადაც შემოწმდება მრგვალი და დახერხილი ხე-მასალით დატვირთული ყველა სახის ტრანსპორტი;

ზედამხედველობა საკონტროლო პუნქტის საქმიანობის კანონიერებისადმი დაეკისროთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ქ. ფოთის პროკურორებს.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს კატეგორიულად აეკრძალოთ წინასწარი შემოწმებისა და სათანადო სპეციალისტების დასკვნისა და გამგეობათა გადაწყვეტილების გარეშე მოსახლეობისთვის სამასალე ხე-ტყის გამოყოფა;

რაიონის, ქალაქის, დაბის, სოფლის გამგებლებს დაეკისროთ პერსონალური პასუხისმგებლობა მოსახლეობისთვის გამოყოფილი სამასალე ხე-ტყის დანიშნულებით გამოყენებისთვის;

მოსახლეობას, რომელსაც დადგენილი წესით გამოეყო სამასალე ხე-ტყე, როგორც დროებითი ღონისძიება, აეკრძალოს მისი არადანიშნულებით გამოყენება ან გასხვისება. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის დაწესდეს პასუხისმგებლობა;

საბაჟო და საკარანტინო სამსახურებმა არ დაუშვან რესპუბლიკაში გაუქერქავი მრგვალი და დახერხილი ხე-მასალის შემოტანა.

პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებს მივეცით მითითება გადაჭრით გააძლიერონ ზედამხედველობა ტყის კანონმდებლობის განუხრელად და ზუსტად შესრულებისადმი.

აქვე ერთ მტკივნეულ საკითხსაც უნდა შევეხო. რესპუბლიკაში შექმნილი მწვავე ეკოლოგიური ვითარების ფონზე სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია ბუნების დაცვის სპეციალიზებული პროკურატურების გაუქმება, რომლებმაც გარკვეული დადებითი გამოცდილება შეიძინეს, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 11 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დროებითი დებულების დამტკიცებისთანავე შეწყვიტეს ფუნქციონირება. ბუნებისა და გარემოს დაცვის ინტერესები მოითხოვს კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანას და სპეციალიზებული პროკურატურების აღდგენას.

წერილი რედაქციას

ეს ხომ საკუთარი თავის მტრობაა!

ახლო წარსულში სოფელში კარგი საქმე გაკეთდა: რაიონის სატყეო მეურნეობამ ნაძვნარი გააშენა.

იცით სად?

ზესტაფონის რაიონში, სწორედ იქ, სადაც ქვედა საქარა თავდება და ზორვეთი იწყება.

იქ სერია გადაჭიმული. ის სერზე რამდენიმე ჰექტარი დაიფარა მარადმწვანე ნაძვნარით. ეს ერთ და ორ დღეში არ გაკეთებულა. მის გაშენებას თვეები და წლები დასჭირდა. დღეს კი იქ გუგუმელა ტყეა.

— თუმცა, ტყეა-მეთქი, წამომცდა.

შეესხნენ ზორვეთელები და ამ ტანაშოლტილ ნაძვებს ჭრიან. მოჭრაც არის და მოჭრაც. ნაძვი ისეთი ჯიშის მცენარეა, რომ მოჭრი, მერე განა ამოიყრის!

აქაოდა, ზორვეთელები და ამ ტანაშოლტილ ნაძვებს ჭრიან. მოჭრაც არის და მოჭრაც. ნაძვი ისეთი ჯიშის მცენარეა, რომ მოჭრი, მერე განა ამოიყრის!

აქაოდა, ზორვეთელები ჭრიან და ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთო, მათ თქვეს ქვედასაქარელებმაც აუბეს მხარი.

ვაი, სირცხვილო და სატკივარო!

კი, მაგრამ ამ ტყეს პატრონი არა ჰყავსო? — შეიძლება იკითხოს მკითხველმა. როგორ არა, ჰყავს. იგი, მართალია, რაიონის სატყეო მეურნეობამ გააშენა, მაგრამ ახლა არგვეთის მევენახეობის მეურნეობას აქვს გადაცემული. მაგრამ არც იგი იწუხებს თავს მისი დაცვა-პატრონობით. ამიტომაც შეაჩვიეს ხელი იქაურმა ნაჯახოსნებმა ნალოლიავებ ნაძვნარს.

— ისინი აკაციის ტყეებსაც არიან შეჩვეული. მაგრამ, იღბლად, აკაცია მოჭრით არ ისპობა. ის კიდევ ამოიყრის, მაგრამ რა ეშველება ნაძვნარს? ბოლოს და ბოლოს, რაიონის ხელმძღვანელობამ ბუნებას გადამტერებულ ნაჯახოსნებს პასუხი უნდა აგებინონ.

დაფიქრდით!

რაც თქვენ მოიმოქმედეთ, ეს ხომ საკუთარი თავის მტრობაა.

ლავრენტი ჭიჭინაძე.

გიორგი ჭელიძე

ელდა?!

სათქმელი უნდა ითქვას

მომხვდური ბევრჯერ უნახავს ჩვენს ხალხს. ეს ახალი „ლეკიანობა“ კი, ახლახან თავზე რომ დაგვატეხეს, როგორც დარწმუნდით, მხოლოდ ნაწილია იმ დიდი შეთქმულებისა, დღეს რომ ხორციელდება ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის წინააღმდეგ.

მართლაც დიდი განსაცდელის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ათასი ჯურის გადამთიელი ოჯახებში გვეპარება, ქალებს გვიწიოკებს, შვილებს გვიხოცავს. ჩვენ კი ჯერაც საბოლოოდ ვერ გამოვფხიზლებულვართ, გაოცებულნი ვდგავართ, ეჭვამოთოხით, თუმცა კარგად ვიცით, რომ თავი და თავი ამ უნიათობა-უთავბოლობისა ისევ ჩვენს თავში, ჩვენს გათითოკაცებაში, გულგრილობასა და უნამუსობაში უნდა მოვიძიოთ, უკანასკნელ ხანს ასე რომ დაგვკრია ხელი და ქართველური სახე და იერი დაგვაკარგვინა. ეტყობა, განვლილმა ორმა საუკუნემ, განსაკუთრებით კი, უკანასკნელმა შვიდმა ათეულმა ისე იმოქმედა ბევრი ჩვენგანის ცნობიერებაზე, რომ ნაქები ქართული რაინდული სულისა და ზნეობისაგან თითქმის არარაფერი დაგვიტოვა.

დიდი ხანი არ არის, რაც დავტოვე სამაჩაბლო, სადაც ჩვენს სახელოვან გვარდიელებთან ერთად ვიხდიდი ჩემს მოქალაქეობრივ თუ ჟურნალისტურ ვალს. ასე რომ, ვერც ტყვიით, ვერც სიკვდილით და ვერც ტირილით ვერავინ გაგვაკვირვებს იმათ, ვისაც გვინახავს ომის საშინელებანი, მშვიდობიანი ხალხის ტკივილი და მწუხარება, გზაზე ლანდებად შემოფეთებული ნიღაბაკრული მტერი, თითქმის ყოველდღიურად მორგებში გაშოტილ-გახევებული ჩვენი მერცხალივით ბიჭები. მეგონა და მჯეროდა, რომ მთელი საქართველო, თითოეული ჩვენგანი აქედან სათანადო დასკვნებს გამოიტანდა, აიშლებოდა, გაერთიანდებოდა ამ ახალი, უფრო დიდი საფრთხისა და შემოსევის დროს, მაგრამ.., რას არ მოესწრება კაცი: — პირდაპირ ყურს გჭრის და გონებას გიბნელებს ჩვენს რადიოსა თუ ტელევიზიაში გაკეთებული ამაზრზენი განცხადებები — შინაგანი ძალების სარდლობა, სხვა ფორმირებანი სოფელ-სოფელ ეძებენ აფხაზეთიდან გამოქცეულ თავიანთ მებრძოლებს, რომლებმაც ზურგი შეაქციეს მომხვდურ მტერს, მიატოვეს თავიანთი თანამებრძოლები და ახლა საკუთარ რაიონებში იმალებიან ჩვენდა სასირცხვოდ და სავალალოდ.

აი, სადამდე მივედით!

ამას წინათ, ჩემს მშობლიურ დუშეთის რაიონში, ფასანაურში ვიყავი. იქაურებს შევხვდი. ათას წვრილმანსა თუ მსხვილმანს მივწვდით, ზოგს უფქვილობა და უპურობა აწუხებს, ზოგს უბენზინობა; ერთი სიტყვით, აქაურთა გასაჭირიც არაფრით განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეების მკვიდრთა სატკივრისაგან, მაგრამ ერთმა გულსატკენმა ამბავმა, რომელიც აქ ითქვა, რომ იტყვიან, სულით ხორცამდე შემძრა. არ იტყვით თურმე, რა ხდება ფასანაურში? — ერთი ოჯახიც არ აღმოჩენილა აქ ისეთი, რომ რესპუბლიკის სამხედრო უწყების გამოძახება მიიღოს და ხელი მოეწეროს. ზოგი წვევამდელი დედისერთობით აცოდებს თავს, ზოგიც კომისარიატის წარმომადგენლებს ოჯახების გადაწვა-გადაბუგვით ემუქრება. საარაგვოს ამ კუთხეში კი არავინ დარჩა ისეთი, რომ ხმა აიმაღლოს და შეჰკივლოს: —ეს რა უბედურება დაგვმართნია მუხლმაგარ მთიულ-გუდამაყრელებს ისეთი, რომ სამშობლოს დაძახილზე აღარ ვფხიზლდებითო. და დგანან გზებზე ეს ჩვენი ხინკლითა და ყაურმით ნაკვები ბიჭები, ცარიელი „კანისტრებით“, ხვდებიან ვლადიკავკავიდან სამხედრო გზით მომავალ ბენზინმზიდ მანქანებს და ზოგს ხვეწნა-მუდარით, ზოგსაც მუქარით ლიტრა-ლიტრობით ართმევენ საწვავს, რომ შემდგომ ნაწილი საკუთარ მანქანებში ჩაუძახონ, ნაწილი კი მამასახლად გაყიდონ.

მაი, დედასა, ამ დროს კი გაგრის სტადიონზე დუშმანი ჩვენი ბიჭების თავებით ფეხბურთს თამაშობს. მოდი და, ნუ დაგეთუთქება გული ამის შემხედვარესა და გამგონეს.

მართლაც, განა რა ჭია გვხრავს ისეთი, რომ ელემენტარულ ჭეშმარიტებაში ვერ გავრკვეულვართ. განა არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ თუ ყველა ასე გომურებში დავიმალეთ, იმ სამხედრო ტექნიკას, რომელიც უნდა ავითვისოთ, პატრონი არ გამოუჩნდება და ის გადამთიელიც, ახლა რომ აფხაზეთში ბოგინობს, ჩვენს ხეობამდე, ჩვენს ოჯახებამდეც მოაღწევს და საწადელს აისრულებს?

მახსოვს, სამაჩაბლოში რა სასწაულებს ახდენდა გვარდიის დუშეთის ბატალიონი. ხდებოდა, განა არ ხდებოდა, რომ მჭიდში ორიოდე ტყვია დარჩენიათ ბიჭებს, მაგრამ მაინც არ შეუხრიათ წარბი, არ დაუტოვებიათ პოზიციები, რომ იტყვიან, კბილებით იბრძოდნენ. იბრძოდნენ სამაჩაბლოსათვის, დუშეთისთვის, ერთიანი საქართველოსთვის. ახლაც ბევრი მათგანი იცავს საქართველოს მთლიანობას აფხაზეთში. ზოგ-ზოგები კი, რომლებიც ახლახან დიდი ზარზეიმითა და ქადილით გავაცილეთ აფხაზეთში, ჩუმად მოპარვით უკანვე ჩამოსულან და გაყუჩებულან. დეზერტირობა, თანამებრძოლის მიტოვება, მხედრული ფიცის გატეხვაც თურმე არარაფერი ყოფილა.

— ვინ არის გამკითხავი მაშინ, როცა დედას მტრისათვის ზურგშექცეული შვილი სახლში მოუდის და კივილით არ ძრავს ქვეყანას?

— ვინ არის გამკითხავი მაშინ, როცა არაგველობას, მთელ საარაგვოს ჩრდილი ადგება და არავინ უწყის, ამ ლაფს როდის ჩამოირეცხავს ზოგიერთი ჩვენი თანამოძმე?

ომმა ელდა იცისო — უთქვამთ. ამ ელდისაგან თუ შემთხვევისაგან არავინ არის დაზღვეული. მახსოვს, ერთ საღამოს გორში განლაგებულ სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულის შტაბში ბატონ რობიზონ თუშურაშვილთან ერთ-ერთი რაიონის გვარდიის გაოგნებული მეთაურები შემოვიდნენ და ცდილობდნენ როგორმე გამართლება მოეძებნათ თავიანთი მოქმედებისათვის, იმისათვის, თუ რატომ დატოვეს მათ პოზიციები და რატომ შეატოვეს მტერს თავიანთი სხვა თანამებრძოლნი.

ბატონ რობიზონის განრისხებას ველოდი და გაკვირვებული დავრჩი, როგორ აუთამაშდა გენერალს ტუჩებზე ღიმილი.

— ომიაო ძმებო, ომში კი ყველაფერი ხდება, იქ სათანადო ძალები გადავისროლეთ და ყველაფერი წესრიგშიაო — ასე დაამშვიდა გაოცებული მეთაურები, — ამაღამ დაასვენეთ თქვენი ბიჭები. საწყობიდან ტყვია-წამალი წაიღეთ და ადრე დილით, ვიდრე გათენდებოდეს, ჩუმად შედით და თქვენი პოზიციები დაიკავეთო.

შევატყვე, როგორ გამოფხიზლდნენ მეთაურები, როგორ მოუვიდათ სახეზე ფერი, როგორ დამშვიდნენ. მახსოვს მათი მადლიერებით სავსე თვალები.., რომ წავიდნენ, მერე შევეკითხე ბატონ რობიზონ თუშურაშვილს: — ასე ლმობიერად რატომ მოექეცით, მათ ხომ?..

— შიშს ყოველთვის დიდი თვალები აქვს. ამ ბიჭებს ადრე არასოდეს უომიათ, არც გამოცდილება აქვთ, არც საკმარისი ტყვია-წამალი. თანდათან დაიხვეწებიან, ისწავლიან. ისე, რომ შეიძლება ეს დღევანდელი სიმხდალე არასოდეს გაახსენდეთო.

მართლაც ასე მოხდა. სამაჩაბლოდან გვარდიის გამოსვლამდე ისინი ვაჟკაცურად იდგნენ და თითქმის ყოველდღიურად იგერიებდნენ მომძლავრებულ მტერს.

ამას წინათ, ჩვენი კოლეგის, ახლა სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას გამოსვლა მოვისმინე რადიოთი სოხუმიდან.— თუ თავის იმედი არა გაქვთ, ნუ ჩამოხვალთ, ნუ შეირცხვენთ თავსაც და ჩვენს მხედრობასაც ნუ შეურაცხყოფთო — გულსაკლავად მოთქვამდა კაცი.

განა ასე ვაპირებთ საქართველოს, ჩვენი თავისუფლების დაცვას? ზოგჯერ თურმე ერთი ორომტრიადი დგას სოხუმის აეროპორტში იმაზე, თუ პირველი ვინ შეასწრებს თვითმფრინავში უკან გამოსაქცევად. ვაი ჩვენს ქართველობას?!

ალბათ, ამიტომაც გვჭირს ის, რაც დღეს ჩვენს თავზე ხდება. მესმის, ძნელია ამ თემაზე წერაც და საუბარიც, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ითქვას სათქმელი. მარტო ტრაბახითა და ბაქიობით სამშობლოს რომ არ ეშველება, ეს ხომ ყველამ კარგად უნდა შევიცნოთ და შევისისხლხორცოთ. ხომ უნდა ვთქვათ ისიც, რომ ურთიერთშუღლი და მტრობა, ასეთ დროს ძმისათვის ზურგში მახვილის ჩაცემა, უზნეობასთან ერთად უდიდესი ღალატიც არის. ღალატი რომ არა, მთელი სამეგრელოს განზე გადგომა რომ არა, განა დაგვემართებოდა ის, რაც გაგრაში დაგვაწიეს თავს. განა ვერ უნდა მიხვედრილიყავით ძმებო, მეგრელებო, იმას, რომ თქვენი ასეთი განზე დგომა, ქართული მხედრობის ზურგში სროლა, ხიდების აფეთქება თუ მუხანათური ბანდიტური თავდასხმები წინასწარ იყო შემუშავებული მავანთა მიერ იმისათვის, რომ თქვენგან არც ისე შორს, გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირესა თუ განთიად-ლესელიძეში შემოჭრილ მტერს მუხანათურად ეჟლეტა იქ მცხოვრები თქვენივე დაძმები თუ ბიძაშვილ-მამიდაშვილები? ამბობდნენ, იმედიც მქონდათ, ამ დღეებში სამეგრელოც აღდგება და შეუერთდებაო ქართულ მხედრობას აფხაზეთში, მაგრამ ამაოდ. ისევ შემაშფოთებელი ცნობები მოდის სამეგრელოდან, ისევ ძარცვავენ და ყაჩაღობენ, ამ დღეებში ენგურზე გამავალი დიდი ხიდიც კი აუფეთქებიათ თქვენთან მოთარეშე ბანდებს.

— როდემდე, ხალხო, როდემდე მოითმენთ ამას, როდემდე აჭიჭგინებთ თქვენს სისხლსა და ხორცს გაგრასა და ლესელიძეში. განა არ იცით, ბევრი თქვენი თანამოძმე, ვისაც პასპორტში ეროვნებად აფხაზი უწერია, ვინც არის. თქვენი სისხლი და ხორცია!

ამ დღეებში საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირში გადავწყვიტეთ კვლავ აღვადგინოთ ქართველ ჟურნალისტთა დამოუკიდებელი პრესცენტრი, რომელიც, რომ იტყვიან, ახლა ბორბლებზე შედგება და გაგრა-ლესელიძიდან დაწყებული ზუგდიდითა და სამაჩაბლოთი დამთავრებული, იმოძრავებს და უტყუარ ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის ჩვენს ხალხს აქ მიმდინარე მოვლენებზე. ბატონი რომან გვენცაძე, რომელსაც ჩვენი წამოწყების მხარდაჭერა, ტრანსპორტით უზრუნველყოფა და უსაფრთხოება ვთხოვეთ, როგორც ყოველთვის, ახლაც დაგვპირდა თანადგომას. ვფიქრობთ, ჩვენი გვარდიაც და თავდაცვის სამინისტროც არ დაგვაკლებენ მზრუნველობას ამ საქმეს. იმედი გვაქვს იმისაც, რომ ბევრი ჩვენი კოლეგა, ვინც სამაჩაბლოში მუშაობის სკოლა გაიარა, გამოეხმაურება ჩვენს ძახილს და ასე ერთად გავწევთ აფხაზეთისაკენ, ჩვენი ძმებისა და ჭილაგის მხარში დასადგომად.

დასასრულს, ისევ მინდა გავიხსენო ჩვენი ჟურნალისტების მეგობრისა და ნამდვილი თანამებრძოლის გენერალ რობიზონ თუშურაშვილის სიტყვები: — ომმა ელდა იცისო. ასეა მართლაც.. ეს ელდაა თუ რაღაც უბედურება რომ ჩამოვიშოროთ, ეგებ სჯობდეს, ძმებო, გომურებიდან გამოვიდეთ, ქუდზე კაცს ვუხმოთ საარაგვოშიც, სამაჩაბლოშიც, მთელ საქართველოში და ისევ ბრძოლის ველს ერთად მივაშუროთ.

სამშობლო გვეძახის და ერთ ელდასა თუ შეცდომას როგორ არ გვაპატიებს!..

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

დააჯილდოვეს მამაცობისთვის

30 სექტემბერს, განთიადისას სენაკში კარგად შეიარაღებულ ბანდიტთა 200-კაციანი ჯგუფის თავდასხმის დროს დიდი სიმამაცე და საზრიანობა გამოიჩინეს საბრძოლო მანქანის „ლამურას“ ეკიპაჟის წევრებმა — საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ოპერატიული პოლკის საბრძოლო მანქანის მეთაურმა კასპელმა ბესიკ როსებაშვილმა და ამავე პოლკის რიგოსანმა თბილისელმა თემურ თედორაძემ. მათ დიდი რისკისა და საფრთხის ფასად იხსნეს აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში განლაგებული შეიარაღებული ძალების ნაწილის მებრძოლები და მშვიდობიანი მოსახლეობა.

სენაკის ადგილობრივი მმართველობის რაიონული გამგეობის გადაწყვეტილებით ბრძოლების დროს გამოჩენილი მამაცობისა და საზრიანობისათვის ისინი ათ-ათი ათასი მანეთით დაჯილდოვდნენ.

რევაზ გრიგოლავა.

„მაგიური შოუ“

ახალი თეატრის დაბადება

ამ დასახელების სპექტაკლის პრემიერით გაიხსნა თბილისის ახალი თეატრი, რომელიც შეიქმნა რუსული საყმაწვილო და საბავშვო თეატრის ბაზაზე ფირმა „მეჯიკომის“ დახმარებით.

ახალ საინტერესო და ორიგინალურ კოლექტივს ხელმძღვანელობს რეჟისორი გიორგი კიტია, პროდიუსერია გოჩა კიკვაძე.

სპექტაკლში „მაგიური შოუ“ მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მსოფლიო ილუზიონისტთა საძმო მაგიის წევრი ზურაბ ვადაჭკორია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მიხეილ ნირიასოვი და ვლადიმერ აბრესკოვი, მსახიობები სერგი ლუტროვი, ვიქტორია კული. ირინე აბრესკოვა, ზოია ილიჩენკო, ნაიზი დავლიანიძე და ლელა ტონიაშვილი.

ახალი თეატრის პრემიერა გულთბილად მიიღო თბილისელმა მაყურებელმა.

სურათზე: ახალი თეატრის დასი.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მასპინძლობს აჭარა

გაგრიდან, სოხუმიდან, აფხაზეთის სხვა რაიონებიდან გემით, თვითმფრინავით, სხვა ტრანსპორტით ასობით ლტოლვილი ჩამოდის აჭარაში. მათ გატანჯული, აცრემლებული, შეშფოთებული სახეები აქვთ. რა ჭირი და უბედურება არ გადახდათ. ძირითადად, ქალები და ბავშვები არიან. მამაკაცები იარაღით იბრძვიანო, თქვეს.

250 ოჯახი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელობამ სასტუმროში მოათავსა. ამდენივე — ქობულეთის რაიონის პანსიონატ „მწვანებელში“. ათობით ოჯახი ნათესავებმა და ახლობლებმა შეიფარეს.

აჭარა მზად არის კიდევ 1500 ოჯახი მიიღოს. ლტოლვილებს არ აკლებენ სულიერ და მატერიალურ დახმარებას. საქართველოს საზღვაო სანაოსნომ 250 ათასი მანეთი გამოჰყო მათ დასახმარებლად, თითოეულ ოჯახზე — 1000 მანეთი. ხორჩი ლტოლვილებისათვის ბათუმელი მოსწავლეები აგროვებენ სურსათ-სანოვაგეს, ტანსაცმელს, ფულს, სახელმძღვანელოებს. თითოეული ცდილობს, როგორმე შეუმსუბუქოს ტკივილი და მწუხარება ჩამოსულთ.

მიხეილ გორგილაძე.

ტაში ქართველ რეჟისორს

სანქტ-პეტერბურგის აკადემიური მარინის თეატრის აფიშებმა ოპერის მოყვარულნი მიიწვიეს სპექტაკლზე „დონ კარლოსი“, რომელიც დადგა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ (დამდგმელი მხატვარი — თეიმურაზ მურვანიძე). სპექტაკლის პრემიერამ, რომელიც ოქტომბრის დამდეგს გაიმართა, დიდი წარმატებით ჩაიარა. ეს ცნობილი ქართველი რეჟისორის მეორე ნამუშევარია მარინის თეატრის საოპერო სცენაზე. შარშან მან აქ დადგა ს. პროკოფიევის ოპერა „მოთამაშე“, და მეოთხე — სანქტ-პეტერბურგის სცენაზე: გ. ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში მან დადგა სპექტაკლები: შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ და მილერის „სეილემის ჯადოქრები“. ყველა ეს ნამუშევარი, როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავდა, მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და სპეციალისტთა დიდი შეფასება დაიმსახურეს.

მკაცრი გამოცდა

საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრები გუნდების საწვრთნელი მატჩი, რომელიც ავლაბრის სტადიონზე გაიმართა, რანგით უფროსთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 7:2.

ოლიმპიელთა კარში ბურთები გაიტანეს ყაველაშვილმა (2), გ. ჯიშკარიანმა (2), ყიზილაშვილმა, დარასელიამ და შელიამ. საპასუხო გოლების ავტორები არიან ჯიქია და ჩიხუა.

ლევან ბურკაძეს — ორი მედალი

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა დნეპროპეტროვსკში, სადაც მეჩვიდმეტედ გაიმართა ჭაბუკთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში „თეთრი ელვა“.

თბილისელმა ლევან ბურკაძემ მოიპოვა ორი უმაღლესი ჯილდო — ჯერ ერთეულთა თანრიგში, შემდეგ კი — წყვილთა ასპარეზობაში — ბოლნისელ დავით სტეფანიასთან ერთად. საქართველოს ნაკრები გუნდის აქტივშია კიდევ ერთი მედალი — ბრინჯაოსი, რომელიც ერთეულთა თანრიგში თბილისელმა ვახტანგ იმერლიშვილმა მოიპოვა.

მესამე ადგილზე

ბარსელონის ოლიმპიური თამაშების მონაწილემ, თბილისელმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა პარიზის მიდამოებში გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ კროსში. 20-კილომეტრიან დისტანციას მან 57 წუთსა და 81 წამში დაფარა.

11 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა გამარჯვებულმა — ფრანგმა პოლ არპენმა.

ვულოცავთ გაწევრიანებას

საერთაშორისო სპორტული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი გახდა საქართველოს კიდევ ორი სპორტის სახეობის ეროვნული ფედერაცია.

ეს პატივი წილად ხვდათ წყალჯომარდობისა და ჩოგბურთის ფედერაციებს, რომლებიც შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში მიიღეს.

ივანე კვლავ მრისხანეა

მდიდარი სპორტული კარიერის მანძილზე 99-ე „გრან-პრი“ მოიპოვა ახლო წარსულში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ივან ლენდლმა (აშშ), რომელმაც ტოკიოში გამართულ „სეიკოს“ დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალში მოუგო ახალგაზრდა შვედს ჰენრიკ ჰოლმს.

შეჯიბრების საპრიზო ფონდი იყო 1 მილიონი დოლარი.

ფიშერ-სპასკის მატჩი

ფინიში შორს აღარაა

ბელგრადში რ. ფიშერსა (აშშ) და ბ. სპასკის (საფრანგეთი) შორის კიდევ ოთხი (მე-19, მე-20, 21-ე, 22-ე) პარტია გათამაშდა. ორთაბრძოლას კვლავ ლიდერობს ამერიკელი დიდოსტატი ანგარიშით 8:4 (10 ყაიმი).

ბოლო „სამუშაო კვირა“ უაღრესად დაძაბულად წარიმართა. მეცხრამეტე პარტიაში ისეთი უშედავათო ბრძოლა გაჩაღდა, რომ მხოლოდ 84-ე სვლაზე დასრულდა ყაიმით. სპასკიმ დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ლაზიერების მძიმე ენდშპილის გადასარჩენად. მისი სეკუნდანტის დიდოსტატ იური ბალაშოვის აზრით, ფიშერი ისე შთამბეჭდავად თამაშობდა ამ პარტიას, როგორც 1972 წელს რეიკიავიკში სპასკისთან მსოფლიო პირველობის მატჩში.

არანაკლებ მღელვარე იყო მეოცე და ოცდამეერთე პარტიები. ფიშერი ყოველნაირად ცდილობდა გარდატეხა შეეტანა მატჩის მსვლელობაში, თამამი თამაშით დაეჩქარებინა ფინიში. მაგრამ მეოცე პარტიაში მეტისმეტი მოუვიდა და დამარცხდა. ასე რომ, სპასკიმ შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება (4:7), მაგრამ ოცდამეერთე პარტიაში ფიშერმა მაინც გაიტანა თავისი. მან ჩინებულად მოახერხა ენდშპილში მცირე უპირატესობის რეალიზება და სპასკის მეფეს დააყენებინა ფარხმალი. უკომპრომისო შეხლაშემოხლამ, ჩანს, დაღალა დიდოსტატები და ოცდამეორე პარტიაში ისინი სწრაფად, 26-ე სვლაზე დაზავდნენ.

საინტერესოა, რომ 1972 წლის მატჩში ფიშერმა სპასკის ოცდაერთ პარტიაში სძლია (12,5:8:5) და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამჯერად კი ბრძოლა გაუგრძელდა. იქნებ ამ გარემოებამ აღელვა იგი, დაუნდობლად რომ უტევდა სპასკის ბოლო პარტიებში.

მატჩს ბევრი ცნობილი დიდოსტატი ესწრება. ზოგი მაღალ შეფასებას აძლევს ფიშერის თამაშს, ზოგი იწუნებს მას. მაგალითად, ლვოველი დიდოსტატი ანდრიან მიხალჩიშინი ამბობს, რომ ფიშერი ახლა ისეთივე ძლიერია, როგორც ამ 20 წლის წინათ, თამაშს რომ თავი დაანება.

ბელგრადში ფიდე-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესიც ჩავიდა. ყოვლისმცოდნე ჟურნალისტები წერენ, რომ კამპომანესს სურს ახლო კონტაქტები დაამყაროს ფიშერთან. ადრე მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. იმასაც ამბობენ, რომ ფიდე-ს პრეზიდენტი ეძებს მდიდარ სპონსორებს, როგორიც არის იუგოსლავი მილიონერი ე. ვასილიევიჩი — ფიშერ-სპასკის მატჩის დამფინანსებელი.

ბოლო პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“ მზადაა გადაუხადოს ფიშერს კუთვნილი ჰონორარი მისი წიგნისთვის „ჩემი 60 სამახსოვრო პარტია“, რომელიც 1972 წელს გამოსცა რუსულ ენაზე 50-ათასიანი ტირაჟით და ღირდა მანეთი. ახლა ფიშერი 100 000 დოლარს ითხოვს. თუ მხარეები მორიგდნენ, მაშინ ფიშერ-კასპაროვის შესაძლებელ შეხვედრას, ალბათ, არარაფერი დაუდგება წინ, მით უმეტეს, რომ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს თავადაც სურს შეხვდეს „ყველა დროის მსოფლიო ჩემპიონს“. ასე რომ, ჭადრაკის გულშემატკივრები, შესაძლოა, ახლო მომავალში ჭეშმარიტად გრანდიოზული ორთაბრძოლის მოწმენი გავხდეთ.

დღეს, 21 ოქტომბერს გაიმართება ოცდამესამე პარტია, რომელსაც თეთრებით ფიშერი ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ მატჩში გამარჯვებისთვის ფიშერს ორი პარტიის მოგებაღა სჭირდება.

• • •

გთავაზობთ ბელგრადის მატჩის კიდევ ორ შედეგიან პარტიას:

მეთექვსმეტე პარტია

ბ. სპასკი — რ. ფიშერი

ინდური დაცვა

7 ოქტომბერი, 1992 წ.

1. d4 მf6 2. c4 c5 3. d5 d6 4. მc3 g6 5. e4 კg7 6. კg5 h6 7. კh4 g5 8. კg3 ლa5 9. კd3 მ:e4 10. კ:e4 კ:c3+ 11. bc ლ:c3+ 12. მფf1 f5 13. ეc1 ლf6 14. h4 g4 15. კd3 f4 16. მe2 fg 17. მ:g3 ეf8 18. ეc2 მd7 19. ლ:g4 მe5 20. ლe4 კd7 21. მფg1 0—0—0 22. კf1 ეg8 23. f4 მ:c4 24, მh5 ლf7 25. ლ:c4 ლ:h5 26. ეh2 ეg3 27. კe2 ლf7 28. კf3 ეdg8 29. ლb3 b6 30. ლe3 ლf6 31. ეe2 კb5 32. ეd2 e5 33. de კc6 34. მფf1 კ:f3. სპასკი დანებდა.

მეჩვიდმეტე პარტია

რ. ფიშერი — ბ. სპასკი

სიცილიური დაცვა

10 ოქტომბერი, 1992 წ.

1. e4 c5 2. მc3 მc6, მge2 e6 4. g3 d5 5. ed ed 6. კg2 d4 7. მd5 მf6 8. მef4 მ:d5 9. მ:d5 კd6 10. 0—0 0—0 11. d3 კe6 12. მf4 კf5 13. h3 ეb8 14. კd2 ეe8 15. ეe1 ე:e1+ 16. ლ:e1 ლd7 17. g4 ეe8 18. ლd1 კ:f4 19. კ:f4 კe6 20. ლf3 მb4 21. ლ:b7 მ:c2 22. ეc1 ლ:b7 23. კ:b7 მb4 24. კe4 კ:a2 25. კd2 კd5 26. კ:d5 მ:d5 27. ე:c5 მb6 28. მფf1 f6 29. ეa5 ეe7 30. კb4 ეd7 31. კc5 მფf7 32. მფe2 g5 33. მფf3 მფg6 34. მფe4 h5 35. კ:d4 ეe7+ 36. მფf3 h4 37. კc5 ეe1 38. ე:a7 მd5 39. კf8 ეe8 40. კd6 ეe6 41. ეd7 მb6 42. ეd8 მd5 43. b4 ეe1 44. b5 ეb1 45. ეb8 ეb3 46. მფe4 მc3+ 47. მფd4 მ:b5+ 48. მფc4 ეc3+ 49. მფ:b5 ე:d3 50. მფc6 ე:h3 51. მფd5 ეf3 52. მფe6 ე:f2 53. ეg8+ მფh7 54. მფf7 ეa2 55. ეg7+ მფh6 56. კf8 ეa7+ 57. მფ:f6 ეa6+ 58. მფf7. სპასკი დანებდა.

ნინო იმედაშვილი.

ქართული „კარატე“

კიდევ ერთი აღიარება

აღმოსავლური ორთაბრძოლების საიდუმლოებათა დაუფლება დღეს ჩვენი ახალგაზრდობის ერთ-ერთ სერიოზულ გატაცებად იქცა. ალბათ, ამ ცხოვრებისეულ რეალობას ითვალისწინებდნენ ჩვენი სახელოვანი გვარდიისა და თავდაცვის სამინისტროს მესვეურნი, როდესაც ამას თავიანთი მზრუნველობაც თან დაურთეს და ყოველმხრივ უწყობენ ხელს საქართველოს „გოჯურიუ კარატეს“ ფედერაციას, კიდევ უფრო გააფართოოს თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით. ამ მზრუნველობის კონკრეტული შედეგი იყო ის პირველი წარმატება, რომელიც გასულ წელს მოიპოვეს ფედერაციის სპორტსმენებმა დანიაში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობა-სემინარზე, სწორედ ქართველ სპორტსმენთა მიღწევებმა ამ ევროპულ ტურნირ-სემინარზე გადაწყვიტა საქართველოს „გოჯურიუ კარატეს“ ფედერაციის მსოფლიოს ფედერაციაში გაწევრიანების საკითხი, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო ასეთი ახალბედა ფედერაციისათვის. ქართველ ჭაბუკთა შემართებამ და მაღალმა პროფესიულმა მომზადებამ ისე დააინტერესა მსოფლიოს უძლიერესი სენსეი ჰიგაონა, რომ მან მიმდინარე წლის ივნისში სან-დიეგოში, ფედერაციის მთავარ დოჯოში, სავარჯიშოდ და სასპარეზოდ მიიწვია საქართველოს „გოჯურიუ კარატეს“ ფედერაციის პრეზიდენტი და მთავარი ინსტრუქტორი პაატა ჭელიძე თავისი 11 წლის მოწაფით — გიორგი თარაშვილით, რომლებიც ორი თვის მანძილზე უშუალოდ სენსეი ჰიგაონას მეთვალყურეობით ვარჯიშობდნენ და სხვადასხვა ასპარეზობაზე წარადგენდნენ ქართული კარატეს სკოლის მიღწევებს. ამ ერთობლივი ვარჯიშის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ მასწავლებელიც და მოწაფეც სამშობლოში სან-დიეგოს უნივერსიტეტის მეტად პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის დიდი მედლებით დაბრუნდნენ.

ამ დღეებში კიდევ ერთი სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა კარატისტებმა. ალმა-ათაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც ესწრებოდა და უძღვებოდა სენსეი მორიო ჰიგაონა, საქართველოს გოჯურიუელებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ ამ ასპარეზობის ექვსივე ქართველ მონაწილეს (ბექა დვალი, გიორგი ჭაილავა, გიორგი ჯაფარიძე, თემურ ბაქრაძე, ლევან შანიძე, სანდრო მაისურაძე) საზეიმო ვითარებაში გადაეცა შავი სარტყელი — ორთაბრძოლების ოსტატის დამადასტურებელი სიმბოლო. ეს, როგორც აქ ამბობდნენ, ტურნირის უდიდესი სენსაცია იყო, რადგან გუნდი, რომელმაც გადაფრენასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო, მხოლოდ ასპარეზობის მეორე ნაწილს ჩაუსწრო, ასეთი საყოველთაო აღიარების ღირსი გახდა.

მომავალი წლის თებერვალში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი პაატა ჭელიძე მიწვეულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც გაიმართება მსოფლიო კარატეს პროფესიონალი ოსტატების დიდი ტურნირი, საქართველოს ნაკრები კი მონაწილეობას მიიღებს შვეციასა და ჩინეთში გამართულ მაღალპრესტიჟულ ტურნირებში.

მომავალი წლის იანვარში ქართველი კარატისტების სკოლის გასაცნობად საქართველოში ჩამოვა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სენსეი მორიო ჰიგაონა, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს აქ გამართულ ტურნირს.

ოთარ კვიმატაძე.

სურათზე: ალმა-ათის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული საქართველოს „გოჯურიუ კარატეს“ ნაკრები გუნდი ფედერაციის მომავალ ნაკრებთან ერთად.

ვერნისაჟი

დატკბით და იყიდეთ!

სასტუმრო „მეტეხი“ არც ისე დიდი ხანია, გაიხსნა, მაგრამ უკვე ბევრ კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა. მაგალითად, აქ უკვე რამდენჯერმე მოეწყო სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების ექსპოზიცია.

აი, ახლაც „მეტეხში“ ახალი ექსპოზიციაა. მხატვრების — შალვა ჯაფარიძის, ვაჟა მესხისა და მერაბ ჯოხაძის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაა.

სხვადასხვაა ამ მხატვართა სტილი და მიმართულება, რაც, ცხადია, საინტერესოს ხდის გამოფენას, როგორც უცხოელთათვის, ასევე თბილისელებისთვისაც.

არქიტექტორ შალვა ჯაფარიძის მიერ პასტელითა და გუაშის შერეული ტექნიკით შესრულებული დეკორატიული მოტივები, ნატურმორტები, პეიზაჟები სხივს მატებს და ახალისებს გამოფენას.

ძველი თბილისის ტრფიალია ფერმწერი ვაჟა მესხი. აქ გამოფენილი მისი რამდენიმე ნამუშევარი ქართულ ეთნოგრაფიულ და ძველ ყოფას ასახავს.

მრავალფეროვანია მერაბ ჯოხაძის შემოქმედება, რასაც ის მცირე ექსპოზიციაც კი ნათლად მოწმობს. ერთმანეთისაგან განსხვავებული თემა, მასალა მხატვრის ეროვნულ სულს აჩენს. საყურადღებოა მისი „სოფლის მომღერლები“, „რაჭველი მეპურეები“, „ნიკო ფიროსმანაშვილი“...

— ვცდილობთ ისეთი ნამუშევრები გამოვფინოთ, რაც ჩვენი აზრით გულგრილს არ დატოვებს „მეტეხის“ სტუმრებს — გვეუბნება სასტუმროს საზოგადოებრივი ურთიერთობების მენეჯერი თამრიკო ვარდიაშვილი — დღეს აქ წარმოდგენილი მხატვრების გამორჩეულმა სტილმა მოხიბლა ჩვენი სტუმრები, მათ შორის ამერიკის ელჩიც, და რამდენიმე ნამუშევარი შეიძინა კიდეც.

თუ თბილისელებს დააინტერესებთ გამოფენა და ნამუშევრების შეძენას გადაწყვეტენ, ვაცნობებთ, რომ ფასები არც ისე ძვირია, თანაც — „საბჭოთა ფულზე“.

ია კალანდარიშვილი.



სურათზე: მხატვარ მერაბ ჯოხაძის ნამუშევარი „ფიროსმანი“.

ჯამარ ლომაძის ფოტო.

ქველმოქმედება

ასი ათასი მანეთი — ტაძრისათვის

„საბედისწერო გასროლა“, — ასე ჰქვია საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის გენერალ-მაიორ რომან გვენცაძის ქრონიკას, რომლის ლიტერატურული რედაქცია ეკუთვნის ცნობილ ქართველ მწერალს, გაზეთ „სიმართლის“ მთავარ რედაქტორს გიორგი სანადირაძეს.

წიგნი, რომელიც საკმაო დიდი ტირაჟით გამოვიდა, მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. „საბედისწერო გასროლა“ ავტორთა ხარჯით დაიბეჭდა. რ. გვენცაძემ და გ. სანადირაძემ ჰონორარის ნაწილი — ასი ათასი მანეთი გადარიცხეს ნარიყალის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე.

ახალი წიგნი

„სამი ფენომენის“ გამო

სულ ახლახანს ქართველმა საზოგადოებრიობამ მიიღო, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო წიგნი „სამი ფენომენი“, რომლის ავტორია ცნობილი ჟურნალისტი გიგლა გობეჩია. წიგნი მკითხველთა იმ ფართო ფენებისთვისაა განკუთვნილი, ვისაც თანამედროვე მეცნიერების მიერ ჯერაც ამოუხსნელი, იდუმალებით მოცული მოვლენები აინტერესებს. მასში მოთხრობილია სამ ფენომენზე: ფრანგ მიშელ ნოსტრადამუსზე, ბულგარელ ბრმა ნათელმხილველ ვანგა დიმიტროვასა და სახელგანთქმულ ასირიელ მკურნალ ჯუნა დავითაშვილზე. წიგნის ავტორი ვანგასა და ჯუნას პირადად შეხვედრია, გვაცნობს მათი მოღვაწეობის ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომელიც ჩვენი საზოგადოებრიობისათვის სრულიად უცნობია, ამდენად მეტად საინტერესო. წიგნში აგრეთვე ვეცნობით ნოსტრადამუსისეულ პროგნოზებს /ჩვენი საუკუნის დასასრულისა და საერთოდ, სამყაროს მომავლის შესახებ.



„მე არ ვიცი, რამდენად გაამართლებს იგი თქვენს მოლოდინს, მაგრამ მისი წაკითხვის შემდეგ რამდენიმე კაცი მაინც თუ შემობრუნდება „პირით პარაფსიქოლოგიისკენ“, ჩემს მიზანს მიღწეულად ჩავთვლი“ — წერს წიგნის ავტორი შესავალ ნაწილში, ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ვიტყვით, რომ ავტორის მიზანი გამართლებულია: წაიკითხეთ წიგნი და ამაში დამერწმუნებით.

ეკა ლეჟავა.

რადიო „თავისუფლება“ (მიუნხენიდან)

GOULNARA K. OURATADZE
Director
Georgian Service
Radio Liberty

RADIO FREE EUROPE
RADIO LIBERTY

RFE/RL, INCORPORATED
OETTINGENSTR. 67 AM ENGLISCHEN GARTEN
8000 MUNICH 22, WEST GERMANY
TELEPHONE (089) 2102-2268
TELEFAX (089) 2285188
TELEX 523228/523904

ჩვენი გადაცემების მოსმენა შეიძლება ყოველდღე, თბილისის დროით, 19-დან 20 საათამდე; 19 და 25 მეტრის ტალღებზე, ანუ 15170, 15840, 11825 და 11875 კილოჰერცის დიაპაზონში;

21-დან 22 საათამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11875, 9540, 9595 და 7255 კილოჰერცის დიაპაზონში;

და დილის 6 ს. და 30 წუთიდან 7 ს. და 30 წუთამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11725, 11875, 9595, 9680 და 7180 კილოჰერცის დიაპაზონში.

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა შალვა ნიკანდროს ძე კეკელია დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულად სამეგრელოში.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 64484